



## კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო  
უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის

სტუდენტი

გიორგი ვაშაძე

არაბული გაზაფხულის გავლენა კავკასიის რეგიონულ

უსაფრთხოებაზე საერთაშორისო ტერორიზმის

კონტექსტში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო

ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ვახტანგ მაისაია პროფესორი,  
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი-2021

## ანოტაცია

2010-2011 წლის გამოსვლებს ჩრდილოეთ აფრიკაში, არაბულ სამყაროსა და ახლო აღმოსავლეთში მასმედიაში „არაბული გაზაფხული ეწოდა“. ტუნისის რევოლუციის სწრაფმა წარმატებამ დომინოს ეფექტით ითამაშა საპროტესტო აფეთქების დეტონატორის როლი მრავალ არაბულ ქვეყანაში. დიქტატორული მმართველობის ქვეშ გაუქმებული იყო სიტყვის თავისუფლება, ციხეები სავსე იყო პოლიტიკური დემონსტრანტებით. ხშირი იყო მომიტინგეთათვის ცეცხლის გახსნის შემთხვევები.

ტერორიზმი XXI საუკუნეში მსოფლიოს უდიდეს გამოწვევად იქცა, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები და ორგანიზაციები უდიდეს ძალისხმევას იჩენენ რომ აღკვეთონ ტერორისტული საფრთხეები, მაგრამ აღნიშნული ძალისხმევის მიხედვად ევროპისა და ამერიკის ქალები არაერთხელ გახდა ტერორისტული აქტების მსხვერპლი. შეგვიძლია თამამად ვთქვათ რომ ტერორიზმი არის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა მათ შორის რაც ცივი ომის შემდეგ კაცობრიობის წინაშე დადგა.

არაბულმა გაზაფხულმა, ისევე როგორც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ასევე კავკასიაში დიდი გავლენა მოხდინა რეგიონის პოლიტიკაზე. „არაბულ გაზაფხულს“ აქვს დიდი გავლენა კავკასიის რეგიონულიუსაფრთხოების სისტემაზე, განსაკუთრებით საერთაშორისო ტერორიზმისა და ასევე ახალი გეოპოლიტიკური რეაქციების განვითარების კუთხით.

## **Annotation**

### **Implications of "Arab Spring" on the Caucasus Regional Security in terms of International terrorism**

The demonstrations that took place in North Africa, the Arab world and the Middle East within 2010-2011 years was called "Arab Spring" by the media. The rapid success of the Tunisian revolution had so called "the domino effect" on the rest Arab countries. Under the dictatorship rule the freedom of speech was completely abolished, prisons were full of the political prisoners. There were frequent cases of demonstrators being shot by the police.

Terrorism in the 21st century has become the biggest challenge in the world. Leading countries and organizations of the world that are making great efforts to prevent terrorist threats, but despite these efforts, European and American cities have repeatedly become victims of terrorist acts. We can confidently say that terrorism has been one of the major issues the humanity has been facing since the Cold War.

The Arab spring had a major impact on the regional politics of the Middle east and the Caucasus. The Arab spring has a major impact on the Caucasus regional security system, especially in terms of International terrorism and the development of new geopolitical realities.

**Giorgi Vashadze**

## სარჩევი

ანოტაცია .....	2
შესავალი .....	4
<b>თავი I არაბული გაზაფხულის"გავლენა რეგიონული უსაფრთხოების სისტემებზე და 21 საუკუნის ახალი საერთაშორისო პოლიტიკის რეალიები</b>	
1.1 „არაბული გაზაფხულის“ არსი და მისი ისტორიული განვითარების პოლიტიკური ასპექტები. ....	14
1.2 საერთაშორისო ტერორიზმის ფაქტორი 21- საუკუნის საერთაშორისო უსაფრთხოებაზე და „არაბული გაზაფხულის“ ფენომენი.....	29
1.3 კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების სისტემის გეოპოლიტიკური თავისებურებები .....	34
<b>თავი II საერთაშორისო ტერორიზმი და ახალი ასიმეტრიული საფრთხე კავკასიონის რეგიონული უსაფრთხოებისთვის.....</b>	<b>42</b>
2.1 საერთაშორისო ტერორიზმის არსი, განვითარების ისტორია და მისი გეოპოლიტიკური ასპექტები.....	43
2.2 საერთაშორისო ტერორიზმის გავლენა კავკასიის რეგიონულ უსაფრთხოების პროცესებზე .....	60

2.3 კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების განვითარების ტენდენციების მოდელირება.....	67
დასკვნა.....	73
ბიბლიოგრაფია .....	76

## შესავალი

**თემის აქტუალობა** - 2010 წლის 17 დეკემბერს ტუნისის პატარა ქალაქში სიღარიბეში მცხოვრებმა მოვაჭრემ ახალგაზრდა მუჰამედ ბუაზიზიმ, რომელიც თავის მინიმალური შემოსავალით არჩენდა ოჯახს, პროტესტის ნიშნად ქალაქის მერიის წინ თავი დაიწვა. პროტესტის ასეთი უკიდურესი ფორმა საბაზი აღმოჩნდა კანონდამცველების მიერ მისთვის სასწორის ჩამორთმევა, ვაჭრობის აკრძალვა და თავმოყვარეობის შემლახავი პირადი შეურაცხყოფა. ახალგაზრდა ბუაზიზის კი იმ მომენტი არ ჰქონდა თანხა, რომ ქრთამის სახით მიეცა პოლიციისთვის.

2011- წელს ტუნისში დაწყებულმა აჯანყებამ ნათელი გახადა, რომ უკმაყოფილებას სოციალური და ეკონომიკური საფუძველი ჰქონდა და აღნიშნული რეგიონის მაშტაბებს ბევრად სცილდებოდა. "არაბული გაზაფხული" კი სწორედ ის სახელწოდებაა, რომელიც მსოფლიო მასმედიამ ამ მოვლენებს უწოდა, როგორც ჩანს, 1968 წლის "პრადის გაზაფხულის" ანალოგიით, როდესაც ხალხი გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის ტოტალიტარულ-კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ. მრავალ ახლო-აღმოსავლეთის ქვეყანაში მოსახლეობა ძალიან უკმაყოფილო იყო საკუთარი ქვეყნის რთული რეჟიმებით, მაგრამ "ტუნისის რევოლუციის" სწრაფმა განვითარებამ და შემდგომში წარმატებამ უბიძგა სხვა არაბულ სახელმწიფოებსაც მსგავსი გამოსვლებისკენ. პროტესტის აფეთქებისთვის დეტონატორის როლი ითამაშა. უკვე 2011 წლის იანვარში დაიწყო საპროტესტო გამოსვლები: იორდანიაში, ომანში, იემენში, ეგვიპტეში, ბაჰრეინში; მარტში-სირიაში. რეგიონს გარეთ დემონსტრაციები იყო

აღვირში, მაროკოში, ხოლო ლიბიაში , რომელსაც 1969 წლიდან, 42 წლის განმავლობაში თავის ოჯახთან და კლანთან ერთად უცვლელად მართავდა საერთაშორისო დონეზე უტაქტობითა და ახირებით ცნობილი დიქტატორი, პოლკოვნიკი მუამარ ალ-კადაფი, ანტისამთავრობო გამოსვლები ნახევარწლიან სამოქალაქო ომში გადაიზარდა.

თანამედროვე მსოფლიოში ტერორიზმის პრობლემა საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. ტერორიზმი არამხოლოდ ერთიქვეყნის, არამედ მთელი მსოფლიოს უნივერსალურ პრობლემათა შორის გახლავთ.

ტერორიზმის გავრცელების მასშტაბები და მათი ქმედებების მატერიალური თუ არა მატერიალური ზარალი ყოველგვარ ზღვარს ცდებდა.

ტერორიზმი პოლიტიკური ძალადობის კატეგორია გახლავთ, რომელიც გამიზნულია გავლენა მოახდინოს ამა თუ იმ ქვეყნის მთავრობასა თუ საგარეო საშინაო პოლიტიკაზე.

ამისკარგდა დასტურებას წარმოადგენს ის უპრეცედენტო შემზარავი მოვლენები, რომლებსაც ადგილი აქვს ერთ-ერთი მძლავრი ტერორისტული ორგანიზაცია, „ ისლამურის ახელმწიფოა “.

სამწუხარო რეალობად რჩება ფაქტი, რომ ტერორისტული დანაშაული ჩვენი თანამედროვეობის ერთ-ერთ უმძიმეს დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება და დღითიდღე სულ უფრო და უფრო აქტუალურ ხასიათს იძენს. იზრდება ტერორისტული აქტების რიცხვი, საინფორმაციო წყაროებიდან სულ უფრო ხშირად გვესმის სიტყვები: „ტერორისტული აქტი“, „ტერორისტი“, „ტერორიზმის მსხვერპლი“... მიუხედავად აღნიშნულისა, დღესდღეობით საერთაშორისო თანამეგობრობაში ერთიანი მოსაზრება ტერორიზმის არსის, ფარგლებისა და დეფინიციის თაობაზე არ არსებობს. საკვლევი პროექტის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს 21-ე საუკუნის გლობალური საფრთხის - ტერორიზმის პრობლემის კომპლექსური კვლევა საფრთხის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური საშუალებების შემუშავების მიზნით.

თანამედროვე გლობალურ სამყაროში ასიმეტრიულ საფრთხეებს მკვეთრი რყევების გამოწვევა შეუძლია, რომელიც უარყოფითად აისახება და საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ ინტერესებსა და საერთაშორისო უსაფრთხოებას. ასიმეტრიული საფრთხე წმინდა სამხედრო საფრთხის ჭრილში საკმაოდ დიდ საფრთხეს უქმნის ქვეყანას, როგორც შიდა თუ გარე პოლიტიკის წარმართვაში, რადგან ასიმეტრიული სამხედრო საფრთხე წარმოადგენს მჭიდროდ კომბინირებულ ფენომენს ტერორიზმისა, რომელიც მასობრივ მკვლელობებზეა მიმართული და იყენებს სამხედრო ტაქტიკურ მიდგომებს, რომელიც მიზნის ზუსტი შესრულების სტრატეგიით გამოირჩევა. ტერორიზმი ნომერ პირველ გამოწვევად სახელდება მთელი მსოფლიოსათვის. ტერორიზმი დღითიდღე ვრცელდება და უდიდესი მატერიალური თუ არამატერიალური ზარალის წინაპირობა გახლავთ. ტერორიზმის ასე მძლავრად გავრცელება და საერთაშორისო საზოგადოების ასეთი შეშფოთება შესაძლოა აიხსნას მრავალი იმ ფაქტორით რაც ტერორისტების საქმიანობების ეფექტურ გავრცელებასა და აგადატანას ემსახურება.

ტერორიზმის პრობლემამ თანამედროვე ეტაპზე გადალახა ეროვნული საზღვრები და საერთაშორისო ხასიათი მიიღო. მსოფლიო ეკონომიკური პროცესების გლობალიზაციის პირობებში ტერორიზმის მოვლენა გადაიქცა რეალურ საფრთხედ არა მარტო ცალკეული ქვეყნების და რეგიონებისთვის, არამედ მთლიანად მსოფლიო ეკონომიკისთვის. ტერორისტული აქტები ნეგატიურად აისახება ისეთ დარგებზე, როგორცაა ტურიზმი, ტრანსპორტი და დაზღვევა, ამცირებს მთელი რიგი რეგიონების ინვესტიციურ მიმზიდველობას. ტერორისტული აქტების შედეგად ძლიერდება განუსაზღვრელობის ფაქტორი ეკონომიკაში, მცირდება შრომის მწარმოებლურობა და დასაქმების დონე.

ტერორიზმი XXI საუკუნის უდიდესი გამოწვევაა როგორც ყოველი ცალკე აღებული ქვეყნისათვის, ასევე მთლიანი მსოფლიოსათვის. განსაკუთრებით ბოლო წლების განმავლობაში როდესაც საქმე იქამდე მივიდა რომ ტერორისტულ ორგანიზაციებს გაუჩნდათ ტერიტორიული პრეტენზიები, რისი თვალსაჩინო მაგალითიცაა „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნის მცდელობა.

პანკისის რეგიონი ქართულსა და საერთაშორისო მედიაში მჭიდროდ დაკავშირებულია ტერორიზმის სახელთან. ეს თემა განსაკუთრებით აქტუალური კი გახდა ტერორისტული ორგანიზაციის „ერაყისა და სირიის ისლამური სახელმწიფოს“ მოქმედებებში პანკისელი ახალგაზრდების ბრძოლისა და ჩართულობის ზრდის შედეგად. ჟურნალისტების ცნობით სირიაში 50-60 ქისტი ახალგაზრდა იბრძვის მოჯაჰედების სახელით. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ეთნიკურად ქართველი, წარმოშობით პანკისის ხეობიდან თარხან ბათირაშვილი, რომელსაც მსოფლიო იცნობს ომარ ალ-შიშანის სახელით, ისლამური სახელმწიფოს ჩრდილოეთ ფრთის მეთაური. 2012 წელს ის გაემგზავრა სირიაში, დასახლდა ქალაქ ჰარიტანში და სწრაფად შემოიკრიბა თავის გარშემო რუსულად მოლაპარაკე მებრძოლები ყოფილი სსრკ-დან, კერძოდ ჩრდილოეთ კავკასიიდან. ისლამური სახელმწიფოს სახელგანთქმულ ტერორისტებს შორის სხვა პანკისელებიც ხშირად სახელდებიან. მათ შორის აღსანიშნავია მუსლიმ აბუვ ვალიდ შიშანის სახელით ცნობილი მურად მარგოშვილი.

**თემის მიზნები და ამოცანები :** ჩატარებული კვლევის შედეგად შევქმენი აკადემიური სახის ნაშრომი, რომელიც აკმაყოფილებს სამაგისტრო თემის მოთხოვნებს. ჩემი აზრით შესრულებული სამაგისტრო ნაშრომი გამოადგებათ „არაბული გაზაფხულის“ და კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების თემით დაინტერესებულ პირებს, ვიმედოვნებ აღნიშნული ნაშრომი გამოყენებულ იქნება უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში.



**თემის მიზნები და ამოცანები** - კვლევის მიზანია თუ რა გავლენა იქონია „არაბული გაზაფხულის“ ფაქტორმა კავკასიის რეგიონალურ უსაფრთხოებაზე ტერორიზმის კონტექსტში, ასევე ვეცადე წინა პლანზე წამომეწია საკითხი ტერორისტულ ორგანიზაციებზე, რომლებიც მოქმედებენ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში, თუ რა მოტივი ამოდრავებთ მათ.

**ჩემი კვლევის ამოცანას** - წარმოადგენს ამოვხსნა თუ რა როლი ითამაშა „არაბულმა გაზაფხულმა“ კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების საკითხების არევის კუთხით, ასევე კავშირის დადგენა იმ ანარქიულ სიტუაციისთან რაც ამ მოვლენებმა გამოიწვია კავკასიის რეგიონში

### **თემის მიზნები და ამოცანები**

#### **თემის მიზნებია:**

- საერთაშორისო ტერორიზმის განვითარების ისტორია და მისი გავლენა რეგიონულ უსაფრთხოებაზე;
- „არაბული გაზაფხულის“ ფენომენის განსაზღვრა თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში;
- საერთაშორისო ტერორიზმის თავიდან აცილება, ბრძოლის მექანიზმები და კონტრ-ტერორიზმის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ფაქტორის წარმოჩენა;
- საერთაშორისო ტერორიზმის, როგორც ასიმეტრიული საფრთხის ფენომენის წარმოჩენა;

#### **თემის ამოცანები:**

- საერთაშორისო ტერორიზმის ტრანსფორმაციის ძირითადი პარამეტრების დაფიქსირება რეგიონული უსაფრთხოების პირობებში;
- ახალი გეოსტრატეგიული ამოცანების აღწერა და ახალი საფრთხის შემცველი გამოწვევების ანალიზი, საერთაშორისო ტერორიზმის მაგალითზე;
- „არაბული გაზაფხულის“ და საერთაშორისო ტერორიზმის კვლევა და

ანალიზი.

### საკვლევი კითხვები

- ✓ რა გავლენა იქონია „არაბულმა გაზაფხულმა“ კავკასიის რეგიონულ უსაფრთხოებაზე?
- ✓ რას წარმოადგენს საერთაშორისო ტერორიზმი და როგორია მისი გავლენაკავკასიის რეგიონალურ უსაფრთხოებაზე ?

### თემის ჰიპოთეზა

„არაბულ გაზაფხულს“ აქვს დიდი გავლენა კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების სისტემაზე, განსაკუთრებით საერთაშორისო ტერორიზმისა და ასევე ახალი გეოპოლიტიკური რეაქციების განვითარების კუთხით.

### კვლევის საგანი და ობიექტი:

**კვლევის საგანი:** „არაბული გაზაფხულის“ იმპლიკაციის განხილვა კავკასიის რეგიონულ უსაფრთხოებაზე.

**კვლევის ობიექტი:** კავკასიის რეგიონის უსაფრთხოება და საერთაშორისო ტერორიზმი ფაქტორი.

### თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდები

- ისტორიულ-აღწერილობით;
- პოლიტიკის კვლევის;
- შემთხვევის გარჩევა;
- ივენთ ანალიზი;
- კონტენტ ანალიზი.

### კვლევის მეთოდოლოგია და თეორიული ჩარჩო

- ✓ „კონსტრუქტივიზმის თეორია“
- ✓ „ძალთა ბალანსის“ თეორია

- ✓ „ჰეგემონობის სკოლის“ თეორია
- ✓ „კრიტიკული თეორია“

კონსტრუქტივიზმი- კონსტრუქტივიზმისთვის არ არსებობს ობიექტური სოციალური რეალობა. ისინი ამბობენ, რომ კონსტრუქტივიზმი არის ადამიანური ქმნილება, მაგრამ არა ფიზიკური და მატერიალური, არამედ ინტელექტუალური და იდეური. იდეური ელემენტები, რომელსაც კონსტრუქტივისტები ეყრდნობიან არის ის რწმენები, რომელიც ფართოდ არის გაზიარებული ხალხის მიერ. ამ შემთხვევაში, თვითონ არაბული გაზაფხული, როგორც პროცესი, შეიძლება განხილულ იქნას, როგორც კონსტრუირებული რეალობა, რომელიც გამოხატული იყო სოციო-პოლიტიკურ იდეებში.

ძალთა ბალანსის თეორიის მიხედვით დიდი ძალები არასოდეს არიან დარწმუნებული მოწინააღმდეგის განზრახვებში, რაც ქმნის დაუცველობის სიტუაციას. ამის გამო ყველა ძალა ცდილობს თავდასხმითი უნარების გაძლიერებას. შესაბამისად, ყველა საელმწიფოს თუ აქტორის მიზანი არის- გადარჩენა. მერშიმერის მიხედვით, სწორედ ამ ყველაფრის შედეგია ჰეგემონია და სახელმწიფოების მხრიდან ჰეგემონიისკენ მისწრაფება. როდესაც ტერორისტულმა დაჯგუფებებმა ძალა დაკარგეს არაბულ სამყაროში, მათი გავლენა გაიზარდა, მაგალიად, კავკასიის რეგიონზე, რაც გამომდინარეობდა ძალთა ბალანსის შენარჩუნების სურვილიდან.

კრიტიკული თეორია ეს არის საზოგადოებრივი სკოლა, რომელიც ადამიანური და სოციალური მეცნიერებებიდან დაწყებული, აფასებს და განსჯის სოციალურ და კულტურულ ფაქტებს. აღნიშნული თეორია მატერიალისტური ფოლოსოფიის ნაწილია, აგრეთვე სპეციალიზირებული მეცნიერებების მეშვეობით ინტერდისციპლინალური გამოძიების წარმოების მიზნით ჩატარებული ანალიზი. ჩვენს შემთხვევაში, კრიტიკული თეორია არაბულ გაზაფხულსა და მის შემდგომ პროცესებს განიხილავდა არა როგორც მხოლოდ პოლიტიკურ პროცესს, არამედ როგორც, მაგალითად, არაბული

საზოგადოების ცნობიერების შეცვლას. აგრეთვე, შესაძლოა მთლიანი პროცესი განხილული ყოფილიყო ეკოლოგიურ ჭრილშიც, რომემაც მიმდინარე პროცესებზე დიდი გავლენა იქონია.

### **თემის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა**

ჩატარებული კვლევით შევქმენი აკადემიური ხარისხის ნაშრომი, რომელიც უნდა გამოადგეთ უშუალოდ ამ თემით დაინტერესებულ ადამიანებს და ვფიქრობ შესაძლებელი გამოყენებულ იქნეს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზეც.

### **კვლევი შედეგების განხილვა**

კვლევის შედეგად, შევეცადეთ შეგვექმნა აკადემიური ხარისხის ნაშრომი, რომელშიც განხილულია ის ძირითადი ასპექტები რომელიც უკავშირდება არაბული გაზაფხულის გავლენას კავკასიის რეგიონულ უსაფრთხოებაზე თანმედროვე პერიოდში საერთაშორისო ტერორიზმის კონტექსტში.

### **ლიტერატურული წყაროების მიმოხილვა**

ვახტანგ მაისაია და ალიკა გუჩუა „ნატო და არასახელმწიფოებრივი აგრესიული რელიგიური აქტორები („ისლამური სახალიფო“, „ალ-კაიდა“ და „თალიბანი“) - მეოთხე თაობის ომის სტრატეგია და მისი რეგიონული და ეროვნული უსაფრთხოების გეოპოლიტიკური ასპექტები (2010-2019 წლები)“, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2020 წელი; აღნიშნული მონოგრაფია წარმოადგენს პირველ ფუნდამენტურ კვლევით ნაშრომს, რომელიც სამხედრო მეცნიერებასა და საერთაშორისო უსაფრთხოების მნიშვნელოვან თემას მეოთხე თაობის ომის კონცეფციას და სტრატეგიას ეხება. მნიშვნელოვანია, რომ მონოგრაფია შესრულებულია არასტანდარტული წესით და წარმოადგენს ერთგვარ კვინტესენციას

აკადემიური, სამეცნიერო, ანალიტიკური და პუბლიცისტური სახის კვლევებს.

მაისაია, ვ. „ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი 21-ე საუკუნეში“, თბილისი 2009წ.

"ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი 21-ე საუკუნეში" ვახტანგ მაისაია, ავტორი წიგნში წერს საერთაშორისო ტერორიზმის წარმოშობის მიზეზებსა და გარემოებებზე რაც მნიშვნელოვანი ასპექტია აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისთვის.

საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო ჯგერალ გახოკიძე, ავტორს აღწერილი აქვს საერთაშორისო ტერორიზმის მიმართულებით ანტიტერორისტული ღონისძიებების დეტალური ანალიზი .

თავი I არაბული გაზაფხულის"გავლენა რეგიონული უსაფრთხოების სისტემებზე და 21 საუკუნის ახალი საერთაშორისო პოლიტიკის რეალიები

1.1 „არაბული გაზაფხულის“ არსი და მისი ისტორიული განვითარების პოლიტიკური ასპექტები.

2010-2011 წლის გამოსვლებს ჩრდილოეთ აფრიკაში, არაბულ სამყაროსა და ახლო აღმოსავლეთში მასმედიაში „არაბული გაზაფხული ეწოდა“. ტუნისის რევოლუციის სწრაფმა წარმატებამ დომინოს ეფექტით ითამაშა საპროტესტო აფეთქების დეტონატორის როლი მრავალ არაბულ ქვეყანაში. 2011 წლის იანვარშივე სირიასა და მალდივის ქვეყნებში.<sup>1</sup>

სადაც ხალხი უკმაყოფილო იყო თავისი უმაქნისი და კორუმპირებული მთავრობით. საბაზად შეიძლება თავისუფლების იდეალებისთვის მებრძოლი ტუნისელი ახალგაზრდის მიერ პროტესტის უკიდურესი გამოვლინება მივიჩნიოთ, თუმცა, რაც შეეხება მიზეზებს, აქ მრავალი ფაქტორი და მოსაზრება არსებობს.

1970-დან 2010 წლებამდე ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის მოსახლეობა თითქმის სამჯერ გაზარდა. ( 128 მილიონიდან 359 მილიონამდე) თუმცა, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარება ბევრად ნელა მიმდინარეობდა. მცირდებოდა მშპ-ს რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე, ახალგაზრდებს კი დილემის წინაშე უწევდათ დადგომა: მიგრაცია მდიდარ ერკოავშირში ან სიღარიბე. სწორედ დემოგრაფიულ აფეთქებას მიიჩნევს პლაკოუდასი არაბული გაზაფხულის გამომწვევ ფუნდამენტურ მიზეზად. <sup>2</sup>

ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ხშირი იყო მიგრაციები ევროკავშირის ქვეყნებში, განსაკუთრებით კი საფრანგეთში. ასანბაევი მიიჩნევს, რომ

<sup>1</sup>რევაზ გაჩეჩილაძე „ახლო-აღმოსავლეთი“ გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები , გვ. 23-45

<sup>2</sup>Diamond, L. (2008). The Spirit of Democracy: The Struggle to Build Free Societies Throughout the World. New York: NY Times Books. გვ. 35-46

საფრანგეთის საემიგრაციო კანონმა, რომელმაც შეაჩერა ქვეყანაში ემიგრანტების მასიურად მიღება აგრეთვე დიდად შეუწყო ხელი უკმაყოფილო ადამიანების რაოდენობის გაზრდას და რევოლუციების საწყისების გაღვივებას.<sup>3</sup>

ილან პელეგი და ჯონათან მედილოვი კი პოლიტიკურ კორუფციაში ეძებენ რევოლუციის დაწყებასთან დაკავშირებულ პასუხებს. „მოსახლეობა ეკონომიკურ სირთულეებს შეიძლება შეეგუოს იმ შემთხვევაში, თუ უკეთესი მომავლის იმედი აქვს, ან გრძნობს, რომ ეს ყველა ფენისათვის თანაბარი ტკივილია.“ არაბულ სამყაროში ეკონომიკურ სარგებელს იღებდა მხოლოდ გარკვეული უმცირესობა, მაშინ, როცა, მაგალითად, ეგვიპტის მოსახლეობის უმრავლესობა დღეში 2 დოლარით ცხოვრობდა. ტუნისში, კი არანაირი საინვესტიციო შეთანხმება არ წყდებოდა მმართველი ოჯახების მიერ წინასწარი მოგების განსაზღვრის გარეშე.

ხალხის გამაღიზიანებელ უდიდეს ფაქტორად აგრეთვე განიხილება ისრაელის მთავრობის უზენაესობა არაბულ ქვეყნებზე. ანსაბაევი რეჟიმებს თოჯინებს ადარებს, რომლებსაც ისრაელი საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ იყენებდა ჯერ კიდევ 1948 წლიდან. გარდა აბდალ ნასერისა, არაბულ ქვეყნებს არ ჰყოლიათ არცერთი ლიდერი, რომელიც წინ აღუდგებოდა ისრაელს.<sup>4</sup>

ბევრი მკვლევარი აგრეთვე ცდილობს კავშირი იპოვოს არაბულ რევოლუციებსა და კლიმატის ცვლილებას შორის. ვაშინგტონის კლიმატისა და უსაფრთხოების ცენტრის მიერ გამოყვექნებული წიგნი, "არაბული გაზაფხული და კლიმატის ცვლილება" ამბობს, რომ მთავრობებმა ვერ შეძლეს საკუთარი მოქალაქეების ელემენტარული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რომლებიც გამოწვეული იყო გვალვით, ენერგეტიკული დეფიციტითა და გაუდაბნოებით. შესაბამისად აღნიშნული ადამიანები

<sup>3</sup>•Werrel,C. 2013. “The Arab Spring and Climate Change”. Center for American Progress, გვ. 45-67

<sup>4</sup>Plakoudas, S. 2017 “ Causes of the Arab Spring: A Critical Analysis”, Center for International Strategic Analyses (KEDISA). გვ. 21-37

პროტესტს რევოლუციაში მონაწილეობით გამოხატავდნენ. აღნიშნულს ეთანხმება პლაკოუდასიც, და მოჰყავს სირიის მაგალითი, სადაც მწირი წყლის რესურსების გამო მოსახლეობამ შედარებით დიდი ქალაქებისკენ დაიწყო მიგრაცია. 2011 წელს ასადის რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლები კი სირიაში მიმდინარეობდა ზუსტად იმ ქალაქებში, რომლებიც სავსე იყო ასეთი ლტოლვილებით.

აგრეთვე განიხილება რევოლუციაში აშშ-ს უმოქმედობას და ზოგადად საგარეო ფაქტორების როლიც. თუმცა, ეს, ჩემი აზრით, არა გამომწვევი მიზეზი, არამედ, უბრალოდ, ხელისშემწყობი ფაქტორი იყო ისედაც ფეთქებადი სიტუაციისთვის. დიელი და შადი ჰამიდი თავიანთ სტატიებში თანხმდებიან ამერიკის საგარეო პოლიტიკის მარცხზე. ამერიკის ხელისუფლებამ მიატოვა არაბი დიქტატორები, ეს კი ნათლად გამოჩნდა ობამას სიტყვაში, რომელმაც მან კაიროში წარმოთქვა. ასე რომ არ მომხდარიყო, შეიძლება ამერიკას ძირშივე მოესპო რევოლუციის საწყისები. თუმცა, სავარაუდოდ, ამერიკამ ვერ იწინასწარმეტყველა ისლამისტური ძალების ხელისუფლებაში მოსვლა და თავიდან დადებითადაც კი უყურებდა რევოლუციურ მოვლენებს. ( Diehl 2012) (Hamid 2015) <sup>5</sup>

დიქტატორული მმართველობის ქვეშ გაუქმებული იყო სიტყვის თავისუფლება, ციხეები სავსე იყო პოლიტიკური დემონსტრანტებით. ხშირი იყო მომიტინგეთათვის ცეცხლის გახსნის შემთხვევები. ასეთ ვითარებაში კი ინფორმაციის გავრცელებაში უდიდესი როლი ითამაშეს სოციალურმა ქსელებმა. ემანუელ უფუოჰუ-ბირი და ლაქი ოჯობოჰი მიიჩნევენ, რომ ამით დაიწყო სრულიად ახალი სახის აჯანყება სამთავრობო ლიდერების წინააღმდეგ. დიქტატორებისთვის ისეთი ადვილი აღარ იყო პოლიტპატიმრების გასწორება ან პროტესტანტებისთვის ცეცხლის გახსნა, ვინაიდან ადამიანებს უკვე მთელი მსოფლიოსთვის შეეძლოთ უსამართლობის გაზიარება. ეგვიპტის პრეზიდენტის, ჰოანი მუბარაქის, გადადგომამდე ერთი კვირით ადრე, ეგვიპტესა და მსოფლიოს გარშემო

<sup>5</sup>Ufuphu-Biri, E. & Ojoboh, L. 2017. "Social Media as a Tool for Political Resistance: Lessons from the Arab Spring and the Nigerian Protests" Academic Journal of Interdisciplinary Studies, Vol 6. No 1, გვ 61-63



არსებული ტვიტების მთლიანი რაოდენობა, რომელიც ამ ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებებს ეხებოდა ერთ დღეში 2,300-დან 230000-მდე გაიზარდა.<sup>6</sup> 23-ზე მეტმა ვიდეომ, რომელშიც საპროტესტო და პოლიტიკური კომენტარი იყო 5 მილიონ ნახვას გადააჭარბა. ხალხი იყენებდა სოციალურ ქსელებს სხვადასხვა შეკრების დასაგეგმათა თუ უბრალოდ მეგობრებისთვის სიმართლისკენ ბრძოლისათვის მოსაწოდებლად. სიტუაციას მუდმივად აშუქებდნენ ჟურნალისტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ავტორების აზრით, რომ არა სოციალური მედია, ალბათ, არაბი დიქტატორების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება გაცილებით უფრო რთული იქნებოდა.<sup>7</sup>

უსაფუძვლო არ იქნება დავასკვნათ, რომ არაბული გაზაფხულის მიზეზებს მხოლოდ ერთ საგარეო ან საშინაო ფაქტორში, კონკრეტულ პიროვნებაში ან მოვლენაში ვერ ვიპოვით. ეს იყო აფეთქება, რომელმაც გააერთინა განსხვავებული ადამიანები მსგავსი ინტერესებით. ეს ინტერესები კი გახლდათ თავისუფლება, სოციალური თანასწორობა და ცხოვრების უკეთესი პირობები. არაბულ გაზაფხულს მრავალი მიზეზი განაპირობებდა. თავიდანვე აღნიშვნის ღირსია, რომ იგი არ ემსახურებოდა დასავლური დემოკრატიული ღირებულებების გავრცელებას, არაბ ხალხს სურდა მიეღწია სოციალური თანასწორობისთვის და შეეცვალა მთლიანი მმართველობის სისტემა. დიქტატურის პირობებში ეკონომიკური განსხვავებულობა ღარიბ მოსახლეობასა და მმართველ ელიტას შორის სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, ეკონომიკური განვითარების გზაზე მდგარი ქვეყნების მოსახლეობა ვერ გრძნობდა რაიმე სახის წინსვლას. არაბული რევოლუციების საბოლოო შედეგიც წესით ეს უნდა ყოფილიყო –

<sup>6</sup>Diamond, L. (2008). *The Spirit of Democracy: The Struggle to Build Free Societies Throughout the World*. New York: NY Times Books. გვ. 57-61

<sup>7</sup>Drine, I. 2016. "Youth Unemployment in the Arab World" ინტერნეტი: <https://www.wider.unu.edu/publication/youth-unemployment-arab-world> (აიტი ბოლოს დამოწმებულია 01.06.2021)

Werrel, C. 2013. "The Arab Spring and Climate Change". Center for American Progress გვ. 13-19

სოციალური თანასწორობა, რადგან სწორედ ამ მოთხოვნით გამოდიოდა ხალხი ქუჩებში. იმის მიუხედავად, რომ „არაბული გაზაფხულის“ შედეგები ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ გაანალიზებული, შეიძლება ითქვას, რომ 2011 წლის გაზაფხულზე მომხდარმა რევოლუციებმა ხელი შეუწყო არაბული ქვეყნების ხელისუფლებებში ისლამისტი ძალების მოსვლას. ახალმა რეჟიმებმა კი მართვა თითქმის ისეთივე სტილით განაგრძეს როგორც ეს იყო მანამდე. ახალი ხელისუფლებების მიერ ვერ იქნა დაძლეული „არაბული გაზაფხულის“ გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი-სოციალური უთანასწორობა. 2011 წლის გაზაფხული შეიძლება მივიჩნიოთ ისლამისტური ძალების გამარჯვებად, რადგან ერთადერთი რაც ამ ქვეყნებში ამ დროისთვის შეიცვალა ესაა ხელისუფლება, ხალხის კეთილდღეობის გაზრდისთვის ახალ მთავრობებს რაიმე სახის ძირეული ცვლილებები არ გაუტარებიათ. მაგალითად რომ ავიღოთ ეგვიპტე, აქ ჰოსნი მუბარაქის ჩამოგდების შემდეგ ქვეყანა კვლავ იმართება იგივე კალკის მქონე არაბი ნაციონალისტების მიერ. სტენფორდის უნივერსიტეტის 2012 წლის ანგარიშში მოცემულია სტატისტიკური მონაცემები „არაბული გაზაფხულის“ შემდეგ არსებულ სიტუაციაზე, სადაც ნათლად ჩანს, რომ იმის მიუხედავად, რომ 2011 წლის შემდეგ გაიზარდა დაინტერესება მოსახლეობის მხრიდან სამოქალაქო ჩართულობაში, ქვეყნებში მკვეთრად შემცირდა ეკონომიკური წინსვლის დონე, უმუშევარი მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა, გართულდა ბიუროკრატიული პროცედურები და არასამთავრობო ორგანიზაციების დაარსება.

დასავლეთის მედიამ 2011 წელს ახლო აღმოსავლეთში განვითარებულ მეტად საინტერესო პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებს „არაბული გაზაფხული“ უწოდა. მათი აზრით ეს იყო ერთგვარი გამოღვიძება არაბული სამყაროსი ტოტალიტარული და კორუმპირებული რეჟიმების მიმართ.

დასავლეთელი ექსპერტებისთვის სრული მოულოდნელობის ეფექტი ჰქონდა 2011 წელს განვითარებულ მოვლენებს რადგან, მანამდე მიიჩნევდნენ, რომ ვაშინგტონის მოკავშირე ავტორიტარული არაბი

ლიდერები სტაბილურობის საიმედო გარანტები იყვნენ. იგივე ექსპერტები კი ახლა მიიჩნევენ, რომ არაბულ აღმოსავლეთში დემოკრატიზაციის ტენდენციას ჩაეყარა საფუძველი.

აუცილებელია ავღნიშნოთ, რომ ტუნისის გარდა, რეალური პოზიტიური შედეგები თითქმის არცერთ ქვეყანაში არ დადგა. ამის ნათელი მაგალითებია ეგვიპტე, იემენი და სირია.<sup>8</sup>

არაბული გაზაფხული ტუნისში დაიწყო, მაგრამ გადამწყვეტი მომენტი, რომელმაც რეგიონი სამუდამოდ შეცვალა, იყო ეგვიპტის პრეზიდენტის ჰოსნი მუბარაქის, დასავლეთის მთავარი არაბული მოკავშირის, ვარდნა 1980 წლიდან ხელისუფლებაში. მასობრივი საპროტესტო აქციები დაიწყო 2011 წლის 25 იანვარს და მუბარაქი აიძულეს გადადგეს 11 თებერვალს, მას შემდეგ რაც სამხედროებმა, ტუნისის მსგავსად, უარი თქვეს კაიროში Tahrir- ის ცენტრალური მოედანზე დაკავებული მასების წინააღმდეგ.

ეს უნდა ყოფილიყო მხოლოდ პირველი თავი ეგვიპტის "რევოლუციის" ისტორიაში, რადგან ღრმა განხეთქილებები გაჩნდა ახალ პოლიტიკურ სისტემაში. 2011/2012 წლის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვეს ისლამისტებმა თავისუფლებისა და სამართლიანობის პარტიიდან და მათი ურთიერთობა საეჭვო იყო. პროტესტი უფრო ღრმა პოლიტიკური ცვლილებებისთვის გრძელდება. იმავდროულად, ეგვიპტის სამხედროები რჩებიან ყველაზე ძლიერ პოლიტიკურ მოთამაშედ და ძველი რეჟიმის დიდი ნაწილი კვლავ მოქმედებს. არეულობის დაწყებისთანავე ეკონომიკა თავისუფალ ვარდნაში იყო. მურსის მმართველობა არაკომპეტენტური გამოდგა. მან გაიფუჭა ურთიერთობა სამხედროებთან, შეავიწროვა სასამართლო ხელისუფლება, გაატარა რეპრესიები ჟურნალისტების წინააღმდეგ და გამოავლინა სრული

---

<sup>8</sup>Werrel, C. 2013. "The Arab Spring and Climate Change". Center for American Progress გვ 23-34

უმეცრება ეკონომიკაში. მურსის გუნდი უნიათო გამოდგა სახელმწიფოს მართვასა და მენეჯმენტში. მკაცრი კრიტიკა დაიმსახურა ასევე მისმა უხერხემლო და დილექტანტურმა საგარეო პოლიტიკამ. განსაკუთრებით გამოყოფენ ურთიერთობის გაუარესებას მთავარ ეკონომიკურ პარტნიორებთან და გაურკვეველ პოზიციას სირიის კრიზისის მიმართ, რომელმაც ეგვიპტის, როგორც არაბული სამყაროს პოლიტიკური ფლაგმანის როლი საგრძნობლად შეარყია. სერიოზული პრობლემები ჯერ კიდევ 2012 წლის შემოდგომაზე დაიწყო. რა თქმა უნდა, მურსი ცდილობდა გაემყარებინა ისლამისტების. შექმნილ სიტუაციაში მურსიმ „მუსლიმ ძმებთან“ კონსულტაციების შედეგად და სხვა პოლიტიკურ ძალებთან ყოველგვარი კონსულტაციების გარეშე კონსტიტუციაში შეიტანა მკვეთრი შესწორებები, რომელთა თანახმად, სასამართლოებს აეკრძალა პარლამენტის

ზედა პალატისა და საკონსტიტუციო ასამბლეის დათხოვნა, ასევე პრეზიდენტს მიენიჭა უფლება, გამოეცა ნებისმიერი ბრძანებულება „რევოლუციის დასაცავად“, რომელიც არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას სასამართლოში. ცხადი იყო, რომ ეგვიპტელები ამას მარტივად არ შეურიგდებოდნენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მუბარაქის გადაყენებით დაინახეს, რომ წარმოადგენდნენ ძალას, რომელსაც შეეძლო 30 წლიანი მმართველობაც კი დაესრულებინა. ამან გამოიწვია ძლიერი პოლიტიკური აფეთქება და მრავალრიცხოვანი ქუჩის აქციები. სიტუაცია სამხედროებმა განმუხტეს, უმაღლესმა სამხედრო საბჭომ და მისმა თავმჯდომარემ, შეიარაღებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა და თავდაცვის მინისტრმა ალ-სისიმ მოახერხა სიტუაციის დასტაბილურება, მაგრამ ეს უკვე აშკარად ნიშნავდა სამხედროების პოლიტიკური როლისა და წონის გაძლიერებას.<sup>9</sup> მეორეს

<sup>9</sup>Dhillon, N., & Yousef, T. (Eds.). (2009). Generation in Waiting: The Unfulfilled Promise of Young People in the Middle East. Washington, DC: The Brookings Institution. გვ70-75

მხრივ, მურსის ნაბიჯებით გამოწვეული უკმაყოფილება მაინც დარჩა 2013 წლის 30 ივნისს მასობრივი პროტესტის ტალღა მოედო მთელს ეგვიპტეს.

<sup>10</sup>მთავარი მოთხოვნა პრეზიდენტის გადადგომა იყო. მილიონობით ადამიანი გამოვიდა ქუჩაში. აქციებს სათავეში ოპოზიცია ჩაუდგა, რომელიც მუბარაქის მთავრობის წევრებით არის დაკომპლექტებული. უმთავრესი როლი იმან ითამაშა, რომ პრეზიდენტს ჯარიც განუდგა და ხალხის მხარეს დადგა. მათი განცხადებით, თუ 3 ივლისამდე (48 საათში) მოთხოვნა არ

შესრულდებოდა, ისინი ძალას გამოიყენებდნენ და მართვის სადავეებს თავად ჩაიბარებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ამის სურვილი არ ჰქონდათ. უმაღლესი სამხედრო საბჭო მნიშვნელოვნად გაემიჯნა ქვეყნის პოლიტიკურ

მართვას, მაგრამ პოლიტიკური ქაოსით მოცულ ეგვიპტეში თავი გამოაცხადა

ქვეყნის სტაბილურობის სადარაჯოზე მდგარ გარანტად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამხედროებმა თავიდან აირიდეს პასუხისმგებლობა ქვეყნის მართვასა და პოლიტიკურ პროცესებზე, მაგრამ შეინარჩუნეს რეალური ძალაუფლება და გადამწყვეტ მომენტში სიტუაციაში ჩარევის საშუალება. ამდენად, ისინი ეგვიპტელთა დიდი ნაწილის ცნობიერებაში ქაოსური 2012 წლის განმავლობაში ნელ-ნელა ჩამოყალიბდნენ როგორც პოზიტიური და უკანასკნელი იმედის სტატუსის მქონე ძალა. ამ ხნის განმავლობაში მათ მოახერხეს კონსტრუქციულ დიალოგში შესვლა ქვეყნის პოლიტიკური სპექტრის დიდ ნაწილთან და, საბოლოოდ, „მუსლიმი ძმებისა“ და „ალ-ღამა ალ ისლამიას“ გარდა, ყველა დანარჩენ პოლიტიკურ ძალასთან მეტ-ნაკლებ ურთიერთგაგებას მიაღწიეს. ასე რომ, ოპოზიციისა და შეიარაღებული ძალების უხილავმა ალიანსმა თითქმის „მუსლიმი ძმების“ ანაბარა

<sup>10</sup>[http://www.rand.org/pubs/monograph\\_reports/2005/MR1782.pdf](http://www.rand.org/pubs/monograph_reports/2005/MR1782.pdf), გვ. 28, 37. (საიტი ბოლოს დამოწმებულია 22.06.2021)

დარჩენილ მურსის შანსები აღარ დაუტოვა 2 ივლისს მურსიმ სიტყვით მიმართა ხალხს და საჯაროდ დაგმო ულტიმატუმი, რომელიც მას ჯარმა წაუყენა. მისი განცხადებით, ის არ აპირებდა დაეტოვებინა თანამდებობა, ის ხალხის არჩეული პრეზიდენტი იყო და განაგრძობდა მუშაობას. 3 ივლისს შეიკრიბა სხდომა, რომელმაც მურსი ყოფილ პრეზიდენტად გამოაცხადა და ძალაუფლება ჯარს

გადააბარა. 2013 წლის გადატრიალების დროს, როდესაც ხალხის მიერ არჩეული

პრეზიდენტი მუჰამედ მორსი განდევნეს, სამხედრო ლიდერმა გენერალმა აბდელ ფატაჰ ალ-სისიმ განაცხადა: “სამხედრო ძალებმა განახორციელეს ის რაც ეგვიპტელმა ხალხმა, რომლებმა ჩვენ დასახმარებლად მოგვიხმეს, დაგვავალა - აგველო ძალაუფლება საკუთარ თავზე. უფრო ზუსტად კი მათ დაგვავალეს რომ გარდაგვექმნა საჯარო სერვისები და რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მათთვის უზრუნველგვეყო მათი რევოლუციის მოთხოვნები. განვითარების გზაზე მდგარ ქვეყნებში დემოკრატიად მიიჩნევენ

არჩევნების ჩატარებას, რაც დემოკრატის არასაკმარისი კრიტერიუმია ცალსახად. ასე იყო ეგვიპტის შემთხვევაშიც, როდესაც რევოლუციის შემდეგი არჩევნები „დემოკრატის ზეიმად“ იქნა მიჩნეული, თუმცა მას შემდეგ, რაც შედეგები გახდა ცნობილი და ის პროცესების ფონზე, რაც არჩევნებს მოჰყვა, ხალხმა დაინახა, რომ ეს უკვე აღარ იყო დემოკრატის გაგრძელება. რთულია განჭვრიტო რა იქნება შემდეგ. დემოკრატიულ ქვეყნად ჩამოყალიბებას სჭირდება დიდი დრო და მრავალი ეტაპი, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნისთვის, სადაც მრავალი წლის განმავლობაში ერთპიროვნული, დიქტატორული მმართველობა იყო.<sup>11</sup>

ტუნისის მოსახლეობის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მათ ძალადობას თავი აარიდეს და მთავრობას გადადგომა მშვიდობიანი დემონსტრაციებით

<sup>11</sup>Dhillon, N., & Yousef, T. (Eds.). (2009). Generation in Waiting: The Unfulfilled Promise of Young People in the Middle East. Washington, DC: The Brookings Institution. გვ 98-103

აიძულეს. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ რევერანსს მთავრობაც იმსახურებს. ამასთანავე ტუნისელებმა 2014 წლის 26 იანვარს მიიღეს ახალი კონსტიტუცია, რომელიც სრულიად თავისუფალია წმინდა ტექსტების “მოშველებისგან“. კონსტიტუციას ტუნისის ეროვნული ასამბლეის 216 დეპუტატიდან მხარი 200-მა დაუჭირა. დოკუმენტი ტუნისის სახელმწიფო რელიგიად ისლამს აცხადებს, თუმცა შეიცავს პუნქტებს ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე, კანონის უზენაესობაზე და აღიარებს, რომ ტუნისი საერო სახელმწიფოა და არა რელიგიური. გარდა ამისა კონსტიტუცია ქვეყანაში აღმსარებლობის თავისუფლების გარანტიცაა.<sup>12</sup>

იმ დროს, როდესაც ეგვიპტის ლიდერი გადადგა, შუა აღმოსავლეთის დიდი ნაწილები უკვე არეულობაში იყო. საპროტესტო გამოსვლები პოლკოვნიკ მუამარ ალ-კადაფის რეჟიმის წინააღმდეგ ლიბიაში დაიწყო 2011 წლის 15 თებერვალს და გადაიზარდა არაბული გაზაფხულის მიერ გამოწვეულ პირველ სამოქალაქო ომში. 2011 წლის მარტში ნატოს ძალებმა ჩაერიეს კადაფის არმიის წინააღმდეგ და დაეხმარნენ ოპოზიციურ აჯანყებულ მოძრაობას ქვეყნის უდიდესი ნაწილის ხელში ჩაგდებაში 2011 წლის აგვისტომდე. კადაფი მოკლეს 20 ოქტომბერს. მაგრამ აჯანყებულთა ტრიუმფი ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან მემამბოხე შეიარაღებულმა შეიარაღებულმა ძალებმა ფაქტობრივად დაანაწევრეს ქვეყანა მათ შორის, დატოვეს სუსტი ცენტრალური მთავრობა, რომელიც განაგრძობდა ბრძოლას თავისი ავტორიტეტების განსახორციელებლად და მოქალაქეებისთვის ძირითადი მომსახურებით უზრუნველყოფისთვის. ნავთობის მოპოვების უმეტესი ნაწილი ნაკადს დაუბრუნდა, მაგრამ

პოლიტიკური ძალადობა კვლავ ენდემურია და რელიგიური ექსტრემიზმი იზრდება.<sup>13</sup>

რაც შეეხება იემენში განვითარებულ მოპვლენებს, იემენის ლიდერი ალი აბდულა სალეჰი არაბული გაზაფხულის მეოთხე მსხვერპლი გახდა. ტუნისში განვითარებული მოვლენებით წახალისებული, ანტისამთავრობო ყველა პოლიტიკური ფერის მომიტინგეებმა იანვრის შუა რიცხვებში დაიწყეს ქუჩაში გადაღება. 2011წელს ასობით ადამიანი დაიღუპა შეტაკებების შედეგად, როდესაც პრო-სამთავრობო ძალებმა მოაწყვეს მეტოქეების მიტინგები, ხოლო არმიამ დაშლა დაიწყო ორ პოლიტიკურ ბანაკად. იმავდროულად, იემენის ალ-ქაიდამ ქვეყნის სამხრეთ ნაწილში ტერიტორიების წართმევა დაიწყო. საუდის არაბეთის მიერ განხორციელებულმა პოლიტიკურმა მოგვარებამ იემენი გადაარჩინა სამოქალაქო ომისგან. პრეზიდენტმა სალეჰმა ხელი მოაწერა გარდამავალ გარიგებას 2011 წლის 23 ნოემბერს და შეთანხმდა, რომ გადადგებოდა გარდამავალი მთავრობა ვიცე-პრეზიდენტის აბდ ალ-რაბ მანსურ ალ-ჰადის ხელმძღვანელობით. ამასთან, მცირე პროგრესი შეიქმნა სტაბილური დემოკრატიული წესრიგისკენ, მას შემდეგ რაც ალ – ქაიდას რეგულარული შეტევები, სამხრეთით სეპარატიზმი, ტომობრივი დავა და კოლაფსირებული ეკონომიკა შეფერხდა გარდამავალ ეტაპზე.

ბაჰრეინში პროტესტის ტალღა დაიწყო 15 თებერვალს, მუბარაქის გადადგომიდან რამდენიმე დღეში. ბაჰრეინს დამაბულობის დიდი ისტორია აქვს მმართველ სუნიტ სამეფო ოჯახსა და შიიტის უმრავლესობას შორის, რომლებიც ითხოვენ უფრო მეტ პოლიტიკურ და ეკონომიკურ უფლებებს. არაბულმა გაზაფხულმა განაახლა მეტწილად შიიტური საპროტესტო მოძრაობა და ათიათასობით ადამიანი გამოვიდა ქუჩებში, უშიშროების ძალების ცოცხალი ცეცხლის წინააღმდეგ.

<sup>13</sup>Drine, I. 2016 . “Youth Unemployment in the Arab World”  
<https://www.wider.unu.edu/publication/youth-unemployment-arab-world> (საიტი ბოლოს დამოწმებულია 23.06.2021)



ბაჰრეინის სამეფო ოჯახი გადაარჩინა მეზობელი ქვეყნების სამხედრო ჩარევამ საუდის არაბეთის მეთაურობით, რადგან აშშ სხვა გზით იყურებოდა (ბაჰრეინში მდებარეობს აშშ მეხუთე ფლოტი). პოლიტიკური გადაწყვეტის არარსებობის გამო, დარბევამ ვერ შეძლო საპროტესტო მოძრაობის ჩახშობა. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კრიზისი, მათ შორის საპროტესტო გამოსვლები, უსაფრთხოების ძალებთან შეტაკებები და ოპოზიციური აქტივისტების დაპატიმრებები, ადვილი გადასაწყვეტი არ არის.

ბენ ალი და მუბარაქი ჩამოვარდნენ, მაგრამ ყველას სუნთქვა შეეკრა სირიისკენ: ირანის მოკავშირე მრავალ რელიგიური ქვეყანა, რომელსაც მართავდა რეპრესიული რესპუბლიკური რეჟიმი და გადამწყვეტი გეოპოლიტიკური პოზიცია. პირველი დიდი საპროტესტო გამოსვლები დაიწყო 2011 წლის მარტში პროვინციულ ქალაქებში, თანდათანობით გავრცელდა ყველა დიდ ურბანულ უბანში. რეჟიმის სისასტიკემ ოპოზიციის შეიარაღებული რეაგირება გამოიწვია და 2011 წლის შუა რიცხვებში არმიის დამცველებმა ორგანიზება დაიწყეს სირიის თავისუფალ არმიის.<sup>14</sup>

2011 წლის ბოლოს სირია გადაჭრილ სამოქალაქო ომში გადაიქცა, ალავიტური რელიგიური უმცირესობების უმეტესობა მიემხრო პრეზიდენტ ბაშარ ალ ასადთან, ხოლო სუნიტების უმრავლესობა აჯანყებულებს უჭერდა მხარს. ორივე ბანაკს ჰყავს გარე მხარდამჭერები - რუსეთი მხარს უჭერს რეჟიმს, საუდის არაბეთი კი ამბოხებულებს - არცერთ მხარეს არ შეუძლია ჩიხიდან გამოსვლა.<sup>15</sup>

არაბული გაზაფხული მაროკოში მოვიდა 2011 წლის 20 თებერვალს, როდესაც ათასობით მომიტინგე შეიკრიბა დედაქალაქ რაბათში და სხვა ქალაქებში და მოითხოვა მეტი სოციალური სამართლიანობა და მეფე

<sup>14</sup><https://www.rferl.org/a/georgia-isis-islamic-state-pankisi-gorge-russia/26637101.html> p.1 (საიტი ბოლოს დამოწმებულია 23.06.2021)

<sup>15</sup>Dhillon, N., & Yousef, T. (Eds.). (2009). Generation in Waiting: The Unfulfilled Promise of Young People in the Middle East. Washington, DC: The Brookings Institution. გვ. 27-35

მუჰამედ VI- ის ძალაუფლების შეზღუდვა. მეფემ საპასუხოდ შესთავაზა საკონსტიტუციო ცვლილებების შეწყვეტა ზოგიერთ უფლებამოსილებაზე და ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნით, რომლებიც სამეფო კარზე ნაკლებად კონტროლდებოდა, ვიდრე წინა გამოკითხვებში. ამან, სახელმწიფო ახალ სახსრებთან ერთად, დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახების დასახმარებლად, გააფუჭა საპროტესტო მოძრაობის მიმართვა, ბევრი მაროკოელი კმაყოფილი იყო მეფის ეტაპობრივი რეფორმის პროგრამით. აქციები ჭეშმარიტი კონსტიტუციური მონარქიის მოთხოვნით გრძელდება, მაგრამ ჯერჯერობით ვერ შეძლეს ტუნისში ან ეგვიპტეში მასების დამოწმება

2011 წლის იანვრის ბოლოს იორდანიაში საპროტესტო აქციებმა მიიღო იმპულსი, რადგან ისლამისტებმა, მემარცხენე ჯგუფებმა და ახალგაზრდულმა აქტივისტებმა გააპროტესტეს ცხოვრების მძიმე პირობები და კორუფცია. მაროკოს მსგავსად, იორდანიელთა უმრავლესობამ მონარქიის გაუქმების ნაცვლად რეფორმირება მოისურვა. მეფე აბდულა II-ს სუნთქვა მიეცა, რაც არაბულ ქვეყნებში მის რესპუბლიკულ კოლეგებს არ ჰქონდათ. შედეგად, მეფემ მოახერხა არაბული გაზაფხულის "შეჩერება" პოლიტიკური სისტემის კოსმეტიკური ცვლილებებით და მთავრობის შეცვლით. სირიის მსგავსი ქაოსის შიშმა დანარჩენიც გააკეთა. ამასთან, ეკონომიკა ცუდად მუშაობს და არცერთი მთავარი საკითხი არ იქნა განხილული. მომიტინგეების მოთხოვნები დროთა განმავლობაში შეიძლება უფრო რადიკალური გახდეს.<sup>16</sup>

„ჩვენ უყოყმანოდ უნდა დავდგეთ მათ მხარეს ვინც მიისწრაფვის თავისი უფლების დაცვისკენ, რადგან მათი წარმატების შემთხვევაში სამყარო უფრო მშვიდობიანი, უფრო სტაბილური სამართლიანი გახდება“-ეს განცხადება აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ 2011-წლის მაისში გააკეთა „არაბული გაზაფხულის“ სახელით ცნობილი მოვლენების შეფასებისას.

<sup>16</sup>Dabashi, H. (2012). The Arab Spring: the End of Postcolonialism. London, New York: Zed Books. გვ. 34

„არაბული გაზაფხულის“ „მოლოდინი“ „ისლამური სახელმწიფოს“ ჩამოყალიბებამ ჩაანაცვლა, რასაც ტერორი და დაშლილი სახელმწიფოები მოჰყა“-ეს სიტყვები კი 2015 წლის მარტში „აშშ-ის კონგრესში გამოსვლისას სავლანეთის პრეზიდენტმა აშრაფ ლანიმ წარმოთქვა.

„არაბულ გაზაფხულამდე“ დასავლეთისთვის ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკაში ყველაზე მნიშვნელოვანი უსაფრთხოება იყო. აშშ-სა და ევროპაში თვალს ხუჭავდნენ არაბული სახელმწიფოთა ლიდერთა სისასტიკეზე, რადგან ისინი მორჩილად ემსახურებოდნენ დასავლეთის ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ინტერესებს. ეგვიპტეში ჰოსნი მუბარაქი ისრაელში ერთადერთ მშვიდობის „ერთადერთ გარანტად“<sup>17</sup> ითვლებოდა. ლიბიაში პოლკოვნიკი მუამარ კადაფი პოტენციური საინვესტიციო და სავაჭრო შეთანხმების საკითხებს „აგვარებდა“, სირიაში ბაშარ ასადი ადვილად პროგნოზირებადი ლიდერი იყო. იემენში ალი აბდულა ალექჰი ტერორისტულ დაჯგუფება „ალ-ქაიდას“ წინააღმდეგ ბრძოლაში დასავლეთის „ერთგულ მოკავშირედ“ ითვლებოდა. „სანაცვლოდ კი „მართული ლიდერები“ დასავლეთისგან ფინანსურ და სამხედრო დახმარებას იღებდნენ.<sup>18</sup>

„არაბული გაზაფხულის“ მყიფე ცვლილებები ყველაზე მეტად იემენში იწვნიეს. 2014-წლის სექტემბერში უსაფრთხოების კუთხით ვაშინგტონის იემენთან თანამაშრომლობისას აშშ-ის პრეზიდენტმა „წარმატებული კონტრტერორისტული სტრატეგიის მაგალითი“ უწოდა. მართლაც იემენის პრეზიდენტი ალი აბდულა სალექჰი და შემდეგ მისი მემკვიდრეც თანახმა იყო მათი ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი, რომელსაც ალ-ქაიდას ტერორისტული ორგანიზაცია აკონტროლებდა აშშ-ს უპილოტო საფრენი აპარატებით დაეხმობათ.

„არაბული გაზაფხულის“ წარმატება მხოლოდ არაბული ქვეყნების ლიბერალური ინტელიგენციის რომანტიკულ ოცნებებში დარჩა. ქაოსური

<sup>17</sup>გაჩეჩილაძე. რ. „ახლო-აღმოსავლეთი“ გეოპოლიტიკა გვ. 37-45

<sup>18</sup>Ufuophu-Biri, E. & Ojoboh, L. 2017. "Social Media as a Tool for Political Resistance: Lessons from the Arab Spring and the Nigerian Protests" Academic Journal of Interdisciplinary Studies, Vol 6. გვ 1, 61-63.

მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში და ახლომდებარე ჩრდილოეთ აფრიკაში დღემდე უქმნის სერიოზულ პრობლემებს ევროპულ კავშირს, უპირველესად კი უკანონო მიგრაციის სახით.

2011 წელს დაწყებული „არაბული გაზაფხული“ ბევრი აღმოსავლური ქვეყნისთვის „არაბულ ზამთარში“ გადაიზარდა. განსაკუთრებით სისხლისმღვრელი აღმოჩნდა იმავე წელს სირიაში დაწყებული სამოქალაქო ომი, რომელიც უკვე იქცა XXI საუკუნის კაცობრიობის ერთ-ერთ უმთავრეს სირცხვილად. მსოფლიო თანამეგობრობა უძლური აღმოჩნდა შეეჩერებინა კონფლიქტი, რომელიც გამოირჩევა სამოქალაქო პირების (მათ შორის, ქალების, ბავშვების და მოხუცების) მიმართ ჩადენილი დანაშაულებებითა და არაადამიანური მოპყრობით, წამებით, გაუპატიურებით, ადამიანებით ვაჭრობით, ქიმიური იარაღის გამოყენებითა და რელიგიური ფუნდამენტალიზმის აღზევებით. სამოქალაქო ომს დღემდე შეეწირა ნახევარ მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე, 2 მილიონამდე კაცი დასახიჩრდა, ხოლო საკუთარი საცხოვრებლის დატოვება მოუწია დაახლოებით 12 მილიონ სირიელს.<sup>19</sup>

## **1.2 საერთაშორისო ტერორიზმის ფაქტორი 21- საუკუნის საერთაშორისო უსაფრთხოებაზე და „არაბული გაზაფხულის“ ფენომენი.**

21-ე საუკუნეში საქართველოსა და მსოფლიოში მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ეროვნული უსაფრთხოების გლობალურ საშიშროებად იქცა ისეთი ნეგატიური სოციალური მოვლენა, როგორცაა ტერორიზმი. ტერორიზმი ბოლო წლებში განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და სახელმწიფოების სტაბილურობას, რადგან მან შეიძინა გლობალური ხასიათი. ტერორისტული აქტის მსხვერპლად გახდომის რისკი მაღალი გახდა ნებისმიერი ქვეყნისათვის, მისი გეოგრაფიული მდებარეობისა და მოსახლეობის რაოდენობის

<sup>19</sup>მაისია, ვ. „ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი 21-ე საუკუნეში“, თბილისი 2009წ. გვ. 23-29

მიუხედავად მსოფლიო განვითარების კვალდავალ იცვლებოდა და იხვეწებოდა ტერორიზმის ფორმები და სახეები, მისი გამომწვევი მიზეზები, მასშტაბები, ასევე ის პერსპექტივები, რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს ტერორიზმის მეცნიერული შესწავლა.<sup>20</sup> ტექნიკის განვითარებამ კიდევ უფრო დახვეწა ტერორისტების მოქმედებები. საზოგადოების განვითარების ნებისმიერი ეტაპი ხასიათდება ტერორიზმთან ბრძოლის სპეციფიკური მეთოდოლოგიისა და მიმართულებების განვითარებით, რაც თანამედროვე კრიმინოლოგიის მრავალფეროვან და ყოვლისმომცველ ხასიათს განაპირობებს.<sup>21</sup>

თანამედროვე მსოფლიოში ტერორიზმი უსაფრთხოების ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა. ტერორიზმი საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. დღეს-დღეისობით აღნიშნულ პრობლემას ყველა ცივილური სახელმწიფო უდიდეს ყურადღებას უთმობს, რაც გამოწვეულია იმით, რომ თვითონ ტერორი, როგორც ბრძოლის ერთ-ერთი ხერხი ფართოდ გამოიყენება მთელ მსოფლიოში და უდიდეს მასშტაბებს აღწევს. ამ პროცესის ხელშემწყობი ფაქტორია გლობალიზაცია, რომელიც ხელს უწყობს კრიმინალური აქტივობების ზრდას. „უმართავი სივრცეები“, რომლებიც ცივი ომის შემდეგ წარმოიშვა, ათვისებულ იქნა ტერორისტებისა და კრიმინალების მიერ, როგორც მათი თავშესაფარი.

ტერორიზმი 21-ე საუკუნის უდიდეს გამოწვევად იქცა თანამედროვე მსოფლიოს ყველა ქვენისათვის. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები და ორგანიზაციები ყველაფერს აკეთებენ, რომ აღკვეთონ ტერორისტული საფრთხეები, მაგრამ სამწუხაროდ ევროპისა და ამერიკის ქალაქები არაერთხელ გახდა ტერორისტული თავდასხმის მსხვერპლი. მსოფლიო

---

<sup>20</sup>Stern, Jessica. *The Ultimate Terrorists*. Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1999. გვ. 45

<sup>21</sup>. მაისაია, ვ. „ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი 21-ე საუკუნეში“, თბილისი 2009წ. გვ. 34-49

დღეს თანხმდება, რომ ტერორიზმი ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებისთვის.

ტერორისტები უმეტეს შემთხვევებში რამოდენიმე მიზანს ისახავენ ერთდროულად. მაგალითად ცნობილი ტერორისტულ დაჯგუფებას „ალ-ქაიდას“ სამი მიზანი აქვს დასახული: პირველი არის ის, რომ შექმნას ისლამის ხალიფატი, ანუ ჩამოაგდოს თანამედროვე მუსლიმური ქვეყნების მთავრობები; მეორე მიზანია ის, რომ განდევნოს „კაფირები“ (არამუსლიმები) ოკუპირებული ისლამური ტერიტორიებიდან (მაგალითად, აშშ-ის ერაყიდან); მესამე მიზანს წარმოადგენს ევროპის, ამერიკის და სხვა განვითარებული ქვეყნების საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლა.

ტერორიზმი დიდი ხანია მტკიცედ შემოვიდა თანამედროვე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პოლიტიკურ რეალობაში და გახდა ნამდვილი კატასტროფული ფაქტორი. თანამედროვე პირობებში, ექსტრემისტული პირების, ჯგუფებისა და ორგანიზაციების ტერორისტული საქმიანობა იზრდება, მისი ხასიათი უფრო რთულდება, იზრდება ტერორისტული აქტების დახვეწილობა და ანტიჰუმანურობა. მსოფლიო საზოგადოებას შორის წარმოშობილი მძიმე კონფლიქტი კიდევ უფრო ართულებს ტერორიზმის პრობლემას. ტერორიზმი გახდა მომგებიანი საქმიანობა მათი ორგანიზატორებისათვის და კატასტროფოგენური ფაქტორი ადამიანთა საზოგადოებაში.<sup>22</sup>

ტერორიზმის ისტორიაში „ისლამური სახელმწიფო“-ს წარმოშობამ კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა, რამაც მთელი საერთაშორისო საზოგადოების შეშფოთება გამოიწვია. ისლამური სახელმწიფო არის თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი გამოწვევა. ISIS-მა შეტევაზე გადასვლის დღიდან, ინტერნეტის საშუალებით უამრავი ვიდეო-მასალა გაავრცელა, რომლებზეც სასტიკი მკვლევლობებია ასახული.

<sup>22</sup>მაისაია ვ. ახალი გეოპოლიტიკური რეალობა საერთაშორისო ტერორიზმი 21 საუკუნეში“ (გლობალური და რეგიონალური ასპექტები. გვ. 45-58

მებრძოლები ათასგვარ სასჯელს იყენებდნენ მოწინააღმდეგეებისთვის და ამ ყველაფერს კამერით იღებდნენ. თავის მოკვეთა, დაწვა, დახრჩობა, ტანკით გასრესა, მაღალი სართულიდან გადმოგდება ეს არასრული ჩამონათვალია სიკვდილით დასჯის მეთოდებისა, რომლებსაც ISIS-ის მებრძოლები იყენებდნენ. სუნიტი ჯიჰადისტები დაუნდობლად ექცევიან ყველა განსხვავებული რელიგიის ადამიანებს - ქრისტიანებს, იეზიდებს, შიიტებს. მათთვის, ვინც სუნიტი არაა ყველა დამნაშავეა. უნდა აღინიშნოს, რომ ISIS-ს სხვა ტერორისტული ორგანიზაციებისგან განსხვავებით მათ კარგად ორგანიზებული პროპაგანდა აქვს. მზადდება ფილმები, რომლებიც თანამედროვე ტექნიკით არის გადაღებული და დამონტაჟებულია პროფესიონალურად. ისინი თავიანთ მოსაზრებებსა და იდეოლოგიას პოლიგრაფიული მასალების საშუალებითაც ავრცელებენ. სწორედ მათ მიერ გადაღებული ფილმებიდან ირკვევა, თუ რას ამკვიდრებენ ისინი ოკუპირებულ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში.<sup>23</sup>

ტერორიზმი ბოლო წლებში განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და სახელმწიფოების სტაბილურობას, რადგან მან შეიძინა გლობალური ხასიათი. ტერორიზმის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა დაიწყო XXI საუკუნის დასაწყისში, რადგან ტერორისტული აქტის მსხვერპლად გახდომის რისკი მაღალი გახდა ნებისმიერი ქვეყნისათვის, მისი გეოგრაფიული მდებარეობისა და მოსახლეობის რაოდენობის მიუხედავად.

გლობალიზაციის პროცესთან ერთად უსაფრთხოება საკმაოდ კომპლექსური გახდა, რამაც დაგვანახა, რომ მხოლოდ ტრადიციული გზებით ეროვნული საზღვრების დაცვა ვეღარ უმკლავდება მოსალოდნელ საფრთხეს. ტერორიზმი გვევლინება როგორც გლობალიზაციის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულია ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დიდი

<sup>23</sup>. Cragin, Kim; Daly, Sara A., (2004), The Dynamic Terrorist Threat: An Assessment of Group გვ 77-79

რაოდენობა. ჩართული ქვეყნების ქმედებები კი მიმართულია საერთო თანამშრომლობით საერთაშორისო უსაფრთხოების გაძლიერებისაკენ. თუ განვიხილავთ უსაფრთხოებას როგორც გლობალიზაციის ანალიზის ერთ-ერთ საკითხს, გამოიკვეთება რომ უსაფრთხოება გახდა ძალიან კომპლექსური და მრავალმხრივი, სადაც ტრადიციული სასაზღვრო უსაფრთხოება აღარ არის საკმარისი იმ საშიშროებებისგან თავდასაცავად, რომლებიც დღეს გლობალურ სამყაროში გვხვდება. ამ საფრთხეში კი იგულისხმება საერთაშორისო ტერორიზმი. ტერორიზმის პრობლემა არა მხოლოდ რომელიმე ერთი ქვეყნისთვის დამახასიათებელი, არამედ საერთაშორისო უსაფრთხოების პირველი მტერია. 2001 წლის 11 სექტემბრის (9/11)-ის ტერაქტმა მთელ მსოფლიოში გამოიწვია ტერორიზმის საშიშროების უფრო მკაფიო აღქმა. ტერორიზმი ამ ინცინდენტის შემდეგ ყველაზე მწვავე თემა გახდა და დღესაც საერთაშორისო საზოგადოებისგან ინარჩუნებს მნიშვნელოვან ყურადღებას. 11-მა სექტემბერმა ყველას დაანახა, რომ ტერორიზმის სამიზნე იყო გლობალიზაციის მამამთავარი ამერიკა. მსოფლიო სავაჭრო ცენტრი სიმბოლურად უკავშირდება გლობალურ ვაჭრობას, ხოლო პენტაგონი-პოლიტიკურ და სამხედრო მიმართულებებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტერორისტებისთვის გლობალიზაცია გახდა ახალი სამიზნე.<sup>24</sup>

გლობალიზაციის ფენომენის გამოჩენით საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში ერთ-ერთ საყურადღებო ასპექტს წარმოადგენს გეოეკონომიკური პარამეტრების დომინანტობა გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ აზროვნებაზე და მთლიანად ერთიანი, როგორც საერთაშორისო პოლიტიკური ისე გეოპოლიტიკური სტრუქტურის გარდაქმნა ერთმანეთთან პარალელურად და სინქრონულად მიმდინარე ეკონომიკურ, სამხედრო -პოლიტიკურ, ეთნოცივილიზაციურ და კულტურულ რელიგიურ პროცესებთან მსოფლიოს მამტაბებში. ამიტომაც

<sup>24</sup>მაისია ვ. “ახალი გეოპოლიტიკური რეალობა საერთაშორისო ტერორიზმი 21 საუკუნეში“(გლობალური და რეგიონალური ასპექტები.32-36გვ



შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მომავალი მსოფლიო გეოპოლიტიკური სტრუქტურა იქნება მრავალ იარუსიანი და მრავალ კომპლექსიანი.<sup>25</sup>

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, მსოფლიოში დაიწყო გავლენის სფეროების გადანაწილება. ასევე აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ საუკუნის მიწურულს მსოფლიო დაუბრუნდა ორპოლუსიან მდგომარეობას და მიმდინარეობდა „ბრძოლა“ როგორც ევროპული ქვეყნების ასევე აღმოსავლეთის ქვეყნების მთავრობებთან კავშირების ჩამოსაყალიბებლად, ამ პერიოდში ფართო მასშტაბის სრულიად მოულოდნელად მსოფლიო აღმოჩნდა სრულიად ახალი სახის ასიმეტრიული გამოწვევის წინაშე, ასიმეტრიული გამოწვევის რომელსაც სახელად ქვია „ახალი ტერორიზმი“. რათქმაუნდა ტერორისტული ორგანიზაციები XXI-ე საუკუნემდეც არსებობდა და შეგვიძლია მრავალი მაგალითი მოვიყვანოთ, მაგრამ „ახალი ტერორიზმი“ სრულიად განსხვავებული საფრთხე აღმოჩნდა, რომლის ასამკლავებლადაც მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფო ამერიკის შეერთებული შტატებიც კი არ აღმოჩნდა მზად.<sup>26</sup>

2010 წელს ტუნისში დაწყებულმა „არაბულმა გაზაფხულმა“ ტერორიზმის ისლამური ფენომენის ტრანსფორმაცია განაპირობა. „არაბული გაზაფხულის“ შედეგად შექმნილი დესტაბილიზაცია, ნაყოფიერი ნიადაგი აღმოჩნდა ისლამური ტერორიზმის გაძლიერებისთვის, რაც ამ უკანასკნელის წარმომადგენლებმა წარმატებით გამოიყენეს. დღეს, ისლამურ ტერორიზმს კიდევ უფრო მეტი ძალაუფლება გააჩნია, კიდევ უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენს და როგორც მინიმუმ, უახლოესი ათწლეულის განმავლობაშიც შეინარჩუნებს ამ პოზიციას.<sup>27</sup>

<sup>25</sup>Brigitte L. Nacos “Terrorism and Counterterrorism”, second edition, Penguin გვ17-25

<sup>27</sup>მაისაია, ვ. „ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი 21-ე საუკუნეში“, თბილისი 2009წ. გვ17-26

### 1.3 კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების სისტემის გეოპოლიტიკური თავისებურებანი

კავკასიის არეალს გააჩნია დიდი პოტენციალი თავისი სიტყვა თქვას საერთაშორისო თანამეგობრობაში და დაიკავოს სტაბილური ადგილი სხვა თანასწორუფლებიან რეგიონებსა და პან-რეგიონებს შორის. ამიტომაც კავკასიის რეგიონი ყველა სხვა არეალებთან ერთად აღმოჩნდა იმ ახალი გამოწვევების წინაშე, რომლებიც ქმნიან რეალურ საშიშროებას მთელი მსოფლიოს საზოგადოებისთვის. ამგვარი გამოწვევების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაირ სახეობას წარმოადგენს საერთაშორისო ტერორიზმი, რომელიც 21 საუკუნეში გადაიქცა ლკონკრეტული ტიპის ასიმეტრიულ სამხედრო საფრთხედ და მისი გამოვლენის ერთ-ერთი პირველი პოლიგონიო შეიქმნა სწორედ კავკასიის რეგიონში, როგორც მის ჩრდილოეთ ასევე სამხრეთ ნაწილში (მხედველობაშია პანკისის ხეობის დიღემა საქართველოში 2001-2003 წლებში). ზემოთაღნიშნული გარემოების წარმოჩენა და მისი აღკვეთის მოდელირების პროცესის დინამიკა წარმოადგენს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების განმსაზღვრელ პარადიგმას და ეროვნული ინტერესების დაცვის ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტს.

სამხრეთ კავკასია თავისი მიმდინარე მდგომარეობით ერთ-ერთ ყველაზე ცხელი წერტილია. სადაც იკვეთება არაერთი ქვეყნის ინტერესები (რუსეთი, საქართველო, სომხეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, დასავლეთი) რომლებიც რა თქმა

უნდა ხშირად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მაგრამ არსებობს მთელი რიგი

საკითხებისა, რაშიც თანხმდებიან. რეგიონის უმნიშვნელოვანესი გეოსტრატეგიული მდებარეობა, რომელიც მოიცავს, როგორც შავ ზღვას,

ისე კასპიის ზღვას, უკავშირდება ირანს, ბულგარეთსა და რუმინეთს და გადის ხმელთაშუა ზღვაში, კასპიის ზღვისგავლით ყაზახეთსა და თურქმენეთს, თურქეთს, შავი ზღვის მეშვეობით უკრაინას, დიდი სახმელეთო და საზღვაო გზით რუსეთს. ასევე შესაძლებელია მოკრე დროში

საჰაერო გზით მოხდეს კავშირი ცენტრალური აზიის ქვეყნებთან ერთად, ავთანეთთან და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან.

კავკასია იყო ის რეგიონი რომელზეც გადიოდა „აბრეშუმის გზა“. ყურადღებას თუ გავამახვილებთ ამ პროექტის ხელახალ განვითარებაზე („ახალი აბრეშუმის გზა“) შესაძლოა აღნიშნული პროექტი ცენტრალური დასამხრეთ აზიის ქვეყნებისათვის „პოლიტიკური პრიორიტეტი ნომერი ერთი“ გახდეს. ეს კი, რა თქმა უნდა სამხრეთ კავკასიის გეოსტრატეგიული ინტერესია. რომელიც საერთოდ არ ემთხვევა რუსეთის ინტერესებს, რადგან ამერიკული „ახალი აბრეშუმის გზის“ კონცეფცია რუსეთისა და ჩინეთის გვერდის ავლით ცენტრალური აზიის ენერჯო რესურსებზე კონტროლის მოპოვებას გულისხმობს.

კავკასიის რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობა ერთი ორად გაიზარდა პოსტსაბჭოთა პერიოდში და მისი აქტუალობა ნელნელა იზენს ფართო მასშტაბებს. გეოპოლიტიკური განუსაზღვრელობის გარდა ამ ეტაპზე უკვე გამოიკვეტა რეგიონის გეოსტრატეგიული მდებარეობის კონტურებიც. კავკასიის მესვეობით შესაძლებელია შეიარაღებული ძალების სწრაფი გადასროლა ისეთ რეგიონებში როგორებიცაა ცენტრალური აზია ხმელთაშუა ზღვისპირეთი და ახლო აღმოსავლეთი, ამიტომაც კავკასიის რეგიონმა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო 90-იანი წლების მეორე ნახევარში, სტრატეგიული რესურსების სამხედრო უსაფრთხოების კუთხითაც, არამხოლოდ რეგიონის ქვეყნების არამედ საერთაშორისო საზოგადოების მხრიდანაც. ამ ფაქტის დამადასტურებელ მოვლენ შეიძლება მივიჩნიოთ 1997 წელს ჩამოყალიბებული სუამის სახელმწიფოთაშორისო გაერთიანება. მისს მთავარ გეოპოლიტიკურ ბირთვს სწორედ კავკასია

წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ცენტრალური და დასავლეთ ევროპის დაკავშირება სამხრეთ აღმოსავლეთ აზიასთან. სუუამის სრულ მასშტაბებში განვითარების ფარგლებში გაჩნდა იდეა გაერთიანების მასშტაბებში არსებული სატრანსპორტო კომუნიკაციების დაცვის შესახებ.<sup>28</sup>

რეგიონის მდებარეობის და მასში განვითარებული პროცესების მიმართ ინტერესს გამოხატავდნენ დიდი სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები, მათი ძირითადი დაინტერესება შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად:

1. რეგიონის გეოპოლიტიკური უნიკალურობა, რომელიც საშუალებას იძლევა ერთდროულად სამი საოკეანო სივრცეებისკენ“ (ატლანტის, ინდოეთის და ჩრდილოეთის) გაჭრისთვის და გარკვეული სახის ჰეგემონობის დაწესებას, პრინციპით: “ხმელეთი-ზღვის მიმართულებით.
2. რეგიონის ქაოსური მდგომარეობა რაც გამოიხატება კონფლიქტური კერების სიმრავლეში, მას თან ერთვის ასევე არალიმიტირებული მიგრაციის საშიშროება პოსტ ინდუსტრიულ ქვეყნებში. ზემოთქმულიდან გამომდინარე გასაგები და მკაფიო ხდება უძლიერესი სამხედრო პოლიტიკური ორგანიზაციის ნატოს დაინტერესება კავკასიის მიმართ. ალიანსის დაინტერესება რეგიონით 1994 წლიდან დაიწყო „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის ამოქმედებით და კიდევ უფრო განვითარდა 1997 წელს ევროატლანტიკური საბჭოს ჩამოყალიბებით, ორივე სფეროში აქტიურადაა ჩართული სამივე კავკასიური სახელმწიფო.

საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემატიკა ღვეანდელ ეტაპზე გახდა მთავარი ქვაკუთხედი მსოფლიო პოლიტიკური სისტემებისთვის და საერთაშორისო პროცესების გეოპოლიტიკური ანალიზის კუთხით განხილვის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მოდის სწორედ უსაფრთხოების პრობლემების მოგვარებასა და განხილვაზე.<sup>21</sup> საუკუნის საერთაშორისო მდგომარეობით, უსაფრთხოების სფერო ხასიათდება მუქარით, რომელიც

<sup>28</sup> მაისია, ვ. „ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი 21-ე საუკუნეში“, თბილისი 2009წ. 43-45 გვ

მოგვარებული უნდა იქნეს მხოლოდ უსაფრთხოების ტრადიციული მეთოდების გამოყენებით. კიბერთავდასხმა, საელთაშორისო

ტერორიზმი, თავდასხმა ენერგო მიწოდებაზე და ასევე ბუნებრივი კატასტროფები წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას და უგულვებელყოფს ეროვნულ საზღვრებს. საჭიროა ვისწავლოთ თუ როგორ უნდა გავუმკლავდეთ მსგავს კრიზისებს, ეს არის უდიდესი გამოწვევა, რომელიც მოიცავს მთელს საზოგადოებას.

მსოფლიო პოლიტიკაში მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევის მიზნით დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთო გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული პროცესების წარმართვის ტენდენციებს.

ტერმინი “საერთაშორისო უსაფრთხოება“ ხმარებაში შემოვიდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როდესა მისი გამოყენება განხორციელდა ერთ ლიგის ფორმატში და ასოცირდებოდა კოლექტიური უსაფრთხოების კონცეფციასთან.

საინტერესო და მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ასევე რეგიონული უსაფრთხოების რაობის გარკვევა და მისი კავშირი გლობალური უსაფრთხოების პირობებთან.<sup>21</sup> საუკუნის დასაწყისში გეოპოლიტიკურმა ფრაგმენტაციის საკითხმა მიიღო მნიშვნელოვანი ტენდენცია. ცივი ომის დასასრულს კავკასიის რეგიონმა მიიღო განსაკუთრებული გეოპოლიტიკური სივრცის სტატუსი და გარდაიქმნა “გეოპოლიტიკურ კარიბჭედ“. ცალკე მსჯელობის საგანია რუსეთის როლი და ინტერესები როგორც მსოფლიო გეოპოლიტიკური უსაფრთხოების სისტემაში ასევე კავკასიასთან, უშუალოდ კი საქართველოსთან მიმართებაში. რუსეთი თავისი გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად აპირებს გამოიყენოს მისი ეგიდით დაარსებული გეოპოლიტიკური გაერთიანებები: ევრეაზიული კავშირი და ჩინურ-რუსული პროექტი “შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია“.

კავკასიის რეგიონში რუსეთისთვის სასურველი გეოპოლიტიკური ფონის შექმნით თურქეთ-ირანი-რუსეთის სტრატეგიული თანამშრომლობის

მიღწევითა და სამხედრო მზაობის უპრეცედენტო გაზრდით, ცენტრალურ კავკასიაში გამოიწვია ოკუპირებული აფხაზთის ტერიტორიაზე ახალი სამხედრო დაჯგუფების შექმნა და სომხურ რუსურლი ახალი სამხედრო ჯგუფის ჩამოყალიბებით საქართველოსთვის ახალი საფრთხის შექმნა, ამის დასტურია სოხუმი-ცხინვალი-გიუმრის სტრატეგიული სამკუთხედის ჩამოყალიბება. ასევე აღსაქნიშნავია ისლამური ინტეგრისტების ინტერესები და გავლენები კავკასიაში, რაც ძირითადად გეოსტრატეგიული პარამეტრებით გამოიხატება. ისლამური ფუნდამენტალიზმი ავტომატურად ვაჰაბისტებთან გაიგივდა, რადგან ისინი ამ რეგიონებისთვის დამახასიათებელი ტრადიციებით და ადათებით გაჯერებული ისლამის წინააღმდეგ გამოვიდნენ და დაუპირისპირდნენ უკვე არსებულ სასულიერო სამმართველოებს. პირველი მცდელობა კავკასიის სივრცესი კონკრეტულად ჩეჩნეთ-დაღესტნის<sup>29</sup> ტერიტორიაზე შექმნილიყო ისლამური ხალიფატი, ინტეგრისტების მხრიდან დაფიქსირდა 1998-1999 წლებსი, როდესაც ჩეჩნეთში წარმოიშვა ადგილობრივი „თალიბანის“ მაგვარი ორგანიზაცია, რასაც მოყვა ჩეჩნური თალიბანიზმის გავრცელება დასავლეთის მიმართულებით. დღესაც ისლამისტი ინტეგრისტები კავკასიის რეგიონს აღიქვამენ, როგორც „მწვანე ინტერნაციონალის“ შემადგენელ ნაწილად და ამ შემთხვევაში არა მხოლოდ კავკასიის ჩრდილოეთ ნაწილს არამედ სამხრეთ არეალსაც.

საინტერესოდ იკვეთება სირიის ომში არსებული კავკასიური შტრიხები და აქცენტები. საუბარია იმ გარემოებაზე რომ თავის დროზე სირიის ფაქტორმა დიდი როლი ითამაშა რუსეთის ფედერაციის მაშინდელი ხელისუფლების მიერ გასული საუკუნის 90-იან წლებსი ე.წ „კავკასიური პოლიტიკის“ შემუშავებაში. ამჯერად ინტერესის სფეროს წარმოადგენს ის, რომ დღევანდელი მონაცემებით ასობით თუ ათასობით დაქირავებული

<sup>29</sup> მაისია, ვ. „ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი 21-ე საუკუნეში“, თბილისი 2009წ. გვ 47-53

ისლამისტი მებრძოლი კავკასიიდან მონაწილეობს სირიის ლოკალურ ომში.<sup>30</sup>

ჯერ კიდევ 2013-წელს სამხრეთ კავკასიის რეგიონში მოქმედებდა კავკასიის ისლამური საემირო,მისმა ერთ-ერთმა მეთაურმა თავის ვიდეო მიმართვაში პირდაპირ განაცხადა,რომ კავკასიელი მოჯაჰიდინების მებრძოლები უერთდებიან გლობალური ჯიჰადს,ანუ ისინი შეერთდნენ „ალ-ქაიდა“ საერთაშორისო ტერორისტულ ქსელს,ამიტომაც საერთოდ აღარაა გასაკვირი,რომ სირიაში გამოჩნდნენ კავკასიური წარმომავლობის ისლამისტი მებრძოლები,ისინი შეერთდნენ სირიაში მოქმედ ისლამური წინააღმდეგობის ფრონტის სამხედრო დაჯგუფებებს.სირიაში მოქმედი კავკასიელი მოჯაჰიდების რაოდენობა დიდი არ არის,მაგრამ კავკასიელი მებრძოლები საკმაოდ გავლენებით და ბრძოლისუნარიანობით გამოირჩევიან.

ზოგადად ,რომ ვისაუბროდ „ისლამური სახალიფოს“საფრთხე არა მხოლოდ გლობალურ არამედ რეგიონალურ გეოპოლიტიკურ ჩარჩოებსაც მოიცავს,სახალიფოს ეგიდით გაერთიანებულ ისლამისტების მხრიდან მთელი კავკასიის „გათავისუფლება“ რეალური და ეს აუცილებლად მოიცავს აზერბაიჯანის და საქართველოს ტერიტორიებსაც.ისლამისტებისთვის ნაკლებად საინტერესოა მთლიანად კავკასიის რეგიონში თუ ვინ იქნება წამვანი და მმართველი ძალა,“ისლამური სახალიფო“უზარმაზარი გავლენების მქონე გახდა და ჩაანაცვალა ალ-ქაიდა.ეს არის გლობალური ჯიჰადის რეალური დამრტყმელი ძალა.ეს ანგარიშ გასაწევი ძალა აკონტროლებს სირიის ტერიტორიის 2/3,ერაყის 1/3,კონტროლქვეშ აქვთ ასევე ლიბანის მთიანი ტერიტორიის ზონა და თანდათანობით მათი დაჯგუფება უახლოვდება ისრაელის ტერიტორიას.კავკასიის ისლამური საემირო ამ დაჯგუფებუის მოკავშირეა „თალიბებთან“ერთად.შესაბამისად შეიქმნა ახალი ჯიჰადისტური ალიანსი რაც აერთიანებს სამმ გავლენიან ძალას:კავკასიის

<sup>30</sup>. Best, Steven, & Nocella II, Anthony J. (2004). Defining Terrorism. *Animal Liberation Philosophy and Policy Journal*, 2(1),გვ 3–18.

ისლამური საემიროს ,ისლამურ სახალიფოს და თალიბანს.აღსანიშნავია ელტი მეტად საინტერესო ფაქტიც საუდის არაბეთი და პაკისტანი გამოვიდნენ სტრატეგიულ მოკავშირეებად ჯერ კიდევ 1982-წელს ავღანეთში საბჭოთა აგრესიის პერიოდში,როდესაც ორივე ქვეყნის სადაზვერვო სამსახურებმა გააფორმეს საიდუმლო მემორანდუმი ურთიერთ თანამშრომლობის შესახებ.აღნიშნული მემორანდუმი კიდევ უფრო განმტკიცდა 1994-1999-წლებში და ის უკავშირდებოდა“ კავკასიურ გეოპოლიტიკურ გამბიტში“ ჩაბმას.საუდის არაბეთი-პაკისტანის ტანდემი დაუპირისპირდა კავკასიის არეალში სირია-ირანი-რუსეთის გეოპოლიტიკურ კოალიციას და მათ შორის დაიწყო სასტიკი მეტოქეობა.სირიის ასადის რეჟიმს გააჩნდა განსაკუთრებული გეოსტრატეგიული ინტერესები კავკასიის რეგიონის მიმართ.<sup>31</sup>

საქართველოს რეალობაშიკვლავ აქტუალურია ,თუნდაც ლატენტური ფორმით,რადიკალური ექსტრემისტული ისლამისტური ორგანიზაციების ქმედებებისა და იდეოლოგიური მიმდინარეობების გააქტიურების საკითხი.იმ იმ ფონზე,როდესაც ევროკავშირთან ასოცირებული ხელშეკრულების პროცესის გაფორმება მიმდინარეობს და საუბარია უვიზო რეჟიმის შესაძლო პერსპექტივაზე აღნიშნული საშიშროება უკვე იძენს ტრანსრეგიონალურ მასშტაბებს და ისლამური ინტეგრირების საფრთხე მოითხოვს გაერთიანებული ძალისხმევის გამოვლენას მისი ნეიტრალიზაციის მიზნით.<sup>32</sup>

თანამედროვე საქართველოს გეოგრაფიულ არეალში იკვეთება სალაფისტურ ნიადაგზე აღმოცენებული ისლამისტური ინტეგრირების როგორც ერთის მხრივ რელიგიურ პოლიტიკური და მეორეს მხრივ

<sup>31</sup>მაისაია ვ. “ ახალი გეოპოლიტიკური რეალობა საერთაშორისო ტერორიზმი 21 საუკუნეში“(გლობალური და რეგიონალური ასპექტები.42-44გვ

<sup>32</sup>მაისაია ვ- გუჩუა ა:ნატო და არასახელმწიფოებრივი აგრესიული რელიგიური აქტორები)გვ82-



იდეოლოგიურ-კულტურული პარამეტრების მატარებელი ორი მიმართულების გავრცელების -ე.წ „არაბული“(ნეოვაჰაბიზმი) და ე.წ „თურქული“(ჰან-ისლამიზმი) პროექტის ტენდენცია(თუმცაგასათვალისწინებელია,რომე.წ„ირანული“ფუნდამენტალისტური ორგანიზაციების აქტიურობა შიიტური ორიენტაციის აზერბაიჯანულენოვან საქართველოს მოსახლეობის მიმართულებით).ამჟამად საქართველოში ფიქსირდება ოთხი „ისლამური ორიენტაციის“ ანკლავი,სადაც გავრცელებულია შედარებით ლატენტური ფორმებით ,თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში კი უფრო აქტიურად ორივე სახის ისლამური ინტეგრისტული პროექტი.მათგან კი გამოიყოფა :აფხაზეთი,ქვემო ქართლი,პანკისის ხეობა ახმეტის რაიონი და აწარის ავტონომიური რესპუბლიკა.

საქართველოსთვის როგორც პატარა და რთული გეოპოლიტიკის მქონესახელმწიფოსთვის, მწყობრი საგარეო პოლიტიკა ნიშნელოვანია უსაფრთხოებისადა სუვერენიტეტის უზრუნველსაყოფად. მისი როლი კრიზისებში უფრო მეტადმნიშვნელოვანი ხდება. უფრო ზუსტად, დიდი რესურსების მქონე რუსეთის მიერ საქართველოს სუვერენიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველოყოფის ძირითადი და მთავარი საშუალებაა საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

ამჟამად პანკისის ხეობაში მოქმედებს შვიდი მეჩეთი ,აქედან ერთი „ტრადიციულია“ხოლო დანარჩენი სალაფიტური.თუმცა აქვე მოქმედებენ ასევე ისლამისტური „ინტეგრისტული“

თავი II საერთაშორისო ტერორიზმი და ახალი ასიმეტრიული საფრთხე კავკასიონის რეგიონული უსაფრთხოებისთვის

2.1 საერთაშორისო ტერორიზმის არსი,განვითარების ისტორია და მისი გეოპოლიტიკური ასპექტები

ცნება ტერორი მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „terror” რაც ნიშნავს დაშინებას(შიშში ყოფნას),აღნიშნული ტერმინი გულისხმობს შიშისა და პანიკის დათესვას. ჯერ კიდევ ძვ.წელთაღრიცხვის 105 წელს ,ძველ რომში „terror cimbricus” აღნიშნავდა ბარბაროსული ტომების შემოსევებისა და მასობრივი მკვლევლობების

საკასუხოდ შემოღებულ განსაკუთრებულ მდგომარეობას.შემდგომში სიტყვა „ტერორს“ იყენებდნენ საფრანგეთის რევოლუციის დროს, რაც მოწინააღმდეგეთა მიმართ სასტიკ მოპყრობას გულისხმობდა , როდესაც ამზობებული იაკობინელები პოლიტიკური მიზნების მისაღწევად არ თაკილობდნენ დაშინებასა და ძალადობრივი მეთოდების გამოყენებას,მათგან აღსანიშნავია თანამედროვე ტერორიზმის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი მძევლების აყვანა .<sup>33</sup>

ტერორიზმი როგორც კომპლექსური პრობლემა კაცობრიობას მრავალი ათწლეულია აწუხებს, მას აქვს წარმოშობის სუბიექტური და ობიექტური მიზეზები,გლობალურ ეპოქაში, ტერორიზმი გასცდა საზღვრებს და ის ჩამოყალიბდა როგორც საერთაშორისო ტერორიზმი.საერთაშორისო ტერორიზმი არისსაერთაშორისო ხასიათითის დანაშაულის ნაირსახეობა. გამოიხატება ცალკეული პირებისა და ორგანიზაციების მოქმედებით ან მოქმედების მუქარით, როსაერთაშორისო ტერორიზმიის

<sup>33</sup>Heath, Robert L., & O’Hair, Dan (2008). Terrorism: From the Eyes of the Beholder. In Dan O’Hair, Robert Heath, Kevin Ayotte, & Gerald R. Ledlow (Eds.), Terrorism: Communication and Rhetorical Perspectives (გვ. 17–41). Cresskill, NJ: Hampton Press

დამახასიათებელი ნიშანია სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეების ტერორისტულ ჯგუფებში ან ორგანიზაციებში გაერთიანება, ერთი სახელმწიფოს მოქალაქის მიერ მეორე სახელმწიფოში ტერორისტული აქტის ჩადენა ან ინდივიდისა თუ ტერორისტული ჯგუფის ქმედება საერთაშორისო ორგანიზაციების პერსონალის ან დიპლომატიური წარმომადგენლობისა და დიპლომატიური აგენტების, უცხო სახელმწიფოთა ოფიციალურ წარმომადგენელთამელიც მიმართულია გარკვეული მიზნების მისაღწევად.<sup>34</sup>

საერთაშორისო ტერორიზმის ფორმებია:

1. პოლიტიკური მკვლევლობები
2. დიპლომატიური წარმომადგენლობის და სხვა ობიექტების აფეთქებები,
3. მძევლების აყვანა
4. სატრანსპორტო სისტემების დაზიანება
5. საჰაერო და საზღვაო ხომალდების გატაცება და სხვა

საერთაშორისო ტერორიზმს ხელი შეუწყო დასავლური სამყაროს და წამყვანი ქვეყნების ე.წ ლიბერალურმა საემიგრაციო პოლიტიკამ. რომელიც განსაკუთრებით ევროპის ტერიტორიაზეა თვალშისაცემი „არასწორი სასაზღვრო პოლიტიკა, ისლამური ქვეყნებიდან მასობრივად ხდებოდა ე.წ ლტოლვილების შემოყვანა ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნებიდან, მათ შორის ავღანეთიდან და ერაყიდან.„ბოლო დროს კი ამ მხრივ განსაკუთრებით სირია გამოირჩევა.„ევროკავშირის ამ ლიბერალურმა პოლიტიკამ გარკვეულ წილად ხელი შეუწყო საერთაშორისო ტერორიზმის გაფართოვებას ევროპის კონტინენტზე, რომელცი განსაკუთრებით თვალში

---

<sup>34</sup>Brigitte L. Nacos “Terrorism and Counterterrorism”, second edition, Penguin გვ 23-44  
Stern, Jessica. The Ultimate Terrorists. Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1999. გვ37-42

საცემი გახდა ერაყის 2004 წლის და ავღანეთის 2001 კამპანიებიდან. ისლამური სახელწმიფოს მიერ ორგანიზებულ იქნა ტერორისტული აქტებისაფრანგეთში, 2015 და 2016 წლებში. 2015 წელს პარიზში 137 ხოლო, 2016 წელს ნიცაში 87 ადამიანი იქნა დაღუპული. აღნიშნული სტატისტიკა საკმარისია იმისათვის, რომ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ევროპაში საერთაშორისო ტერორიზმი მძლავრად მძვინვარებს და მის წინააღმდეგ ბრძოლას გარდა ანტი ტერორისტული ღონისძიებებისა კომპლექსური მკაცრი მიგრაციულ სასაზღვრო პოლიტიკა ესაჭიროება.<sup>35</sup>

რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს მიგრაციულ პოლიტიკას სასაზღვრო კომპონენტში, აქაც ლიბერალური იყო, განსაკუთრებით 1990 იან წლებსი ბილ კლინტონის ადმინისტრაციის დროს, სადაც ფედერალური სასაზღვრო კონტროლის კანონი საკმაოდ ლიბერალური იყო ემიგრანტებისათვის. აღსანიშნავია, რომ აშშ-ს დღევანდელი ადმინისტრაციამ საკმაოდ გაამკაცრა სასაზღვრო და საემიგრაციო პოლიტიკა, განსაკუთრებით კი მეზობელ სახელწმიფოებთან.<sup>36</sup>

საერთაშორისო ტერორიზმი უდიდეს გამოწვევას წარმოადგებს თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემისთვის. ტრანსნაციონალური ძალები საკუთარი უკანონო მოქმედებებით ცივილიზებული მსოფლიოს პოლიტიკურ ეკონომიკურ სოციალურ წყობილებას საფრთხეს უქმნიან. ტერორისტული დაჯგუფებები დღეს ბევრი კომერციულ, ლეგალურ ორგანიზაციაში არიან, ეს ტენდენცია მიანიშნებს იმაზე, რომ ტერორისტული ორგანიზაციები რომლიბიც ადრე იატაქ ქვეშა ორგანიზაციები იყვნენ, ხოლო მათი წევრები ერთგვარ ასკეტურ კონსპირაციულ ცხოვრებას ეწეოდნენ დღეს საერთაშორისო

<sup>35</sup>Heath, Robert L., & O’Hair, Dan (2008). Terrorism: From the Eyes of the Beholder. In Dan O’Hair, Robert Heath, Kevin Ayotte, & Gerald R. Ledlow (Eds.), Terrorism: Communication and Rhetorical Perspectives (pp. 17–41). Cresskill, NJ: Hampton Press

<sup>36</sup>Cragin, Kim; Daly, Sara A., (2004), The Dynamic Terrorist Threat: An Assessment of Group გვ 102-108

ტერორიზმის პირობებში მათ მოახერხეს განშლა და ადაპტირება თანამედროვე რეალობასთან.

21 საუკუნე ძალიან რთული კატაკლიზმების განვითარებით დაიწყო, რომლის ერთგვარ აპოგეას წარმოადგენდა 2001-წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკისა და ვაშინგტონში განხორციელებული ტერორისტული აქტები. აღნიშნული ტერაქტები თამამად შეგვიძლია გაუტოლოდ თავისი მაშტაბებით ისეთ ისტორიულ მოვლენებს, რომლებიც წარმოადგენდნენ 1914-წლის 28 ივლისს ქ სარაევოში ერც-ჰერცოგ ფერდინანდის და მისი მეუღლის მკვლელობა სერბი ტერორისტების მიერ, რამაც გამოიწვია პირველი მსოფლიო ომის დაწყება და 1945 წელს იაპონურ ქალაქებზე ნაგასაკსა და ჰიროსიმაზე ბირთვული ბომბების ჩამოგდება<sup>37</sup>

ჯერ კიდევ 1983-1984 წლებში პაკისტანის ტერიტორიაზე უკვე მაშინ ავღანეთში კარგად ნაცნობი ცნობილი საველე მეთაური უსამა ბენ ლადენის მეშვეობით ყალიბდება ორი ორგანიზაცია:

1. “გადარჩენის ისლამური ფონდი“
2. “მიმდევრების სახლი“

პირველის ფუნქციას შეადგენს და ავღანეთში მებრძოლი მოჯაჰედებისთვის სათანადო თანხის ,აღჭურვილობის ნდა შეიარღების შეგროვება, მეორე ორგანიზაციას კი ,რომლის ქსელიც უკვე 30 ქვეყანაში იყო მოდებული ევალეზობდა მოხალისეების მოზიდვა, მათი კარგად გაწვრთნა პაკისტანის ტერიტორიაზე, შემდეგ კი საბჭოთა ჯარებთან საბრძოლველა გადასროლა ავღანეთის ტერიტორიაზე. 1988 წლამდე ბენ ლადენმა ამ ორი ორგანიზაციის ლიდერობით მოიხვეჭა ძალიან კარგი

<sup>37</sup>მაისაია, ვ. „ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი 21-ე საუკუნეში“, თბილისი 2009წ. გვ. 38-46

სახელი და ამის შემდეგ დაბრუნდა თავის სამშობლოში საუდის არაბეთში ,როგორც საღვთო ომის მონაწილე გმირი.<sup>38</sup>

ორგანიზაციის ძირითად მიზანს წარმოადგენდა პან-ისლამური ხალიფატის დაარსება ისლამურ სამყაროში და შემდგომში მისი ექსპანსია მთელს მსოფლიოში.ასევე ე.წ „სვეტური“რეჟიმების დამხობა.ორგანიზაციის მთავარ მტრად მიჩნეული იყვნენ აშშ და ისრაელი.უსამა ბენ ლადენმა ორგანიზაციის იდეოლოგიურ კრედილად აირჩია ვაჰაბიზმის რელიგია.“ალ-ქაიდა“ გააქტიურების თარიღად შეიძლება ჩაითვალოს 1990-1991 წწ.აშშ-ს და საერთაშორისო კოალიციური ძალების მიერ ერაყის წინააღმდეგ ჩატარებული „უდაბნოს ქარიშხალის“ოპერაცია.უსამან ბენ ლადენ ტოვებს თავის ქვეყანას მშობლიურ ქვეყანას თავის მოძმეებთან ერთად 1992 წელს გადადის სუდანში.სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ალ-ქაიდას სამხედრო ტერორისტული საქმიანობა.ამავე წელს იემენში განხორციელდა ტერორისტული აქტი ამერიკელი ტურისტების წინააღმდეგ და სომალიში მყოფი ამერიკელი მშვიდობის დამცველთა წინააღმდეგ სამხედრო აქცია.სწორედ ამ პერიოდიდან გაჟღერდა ორგანიზაციის მთავარი მიზანი- აშშ ,როგორც „ისლამის წმინდა ადგილების წამბილწველი ქვეყანა“ამავე დროს ალ-ქაიდას დაუძინებელ მტერს წარმოადგენს ისრაელი.რომელმაც ორგანიზაციის გაგანცხადებით „მიითვისა მესამე ისლამური წმინდა ქალაქი იერუსალიმი“.ფაქტიურად ალ ქაიდას იდეოლოგიურ-პოლიტიკურ საფუძველს შეადგენს ვაჰაბიტური მიმართულების შედარებით აგრესიული ე.წ „დეობანდური“სკოლის დოქტრინა.1996 წლის მაისში აშშ-სა და გაეროს დიდი ზეწოლით სუდანის პელისუფლებამ მოსთხოვა ბენ ლადენს და მის მოძმეებს დაეტოვებინათ ქვეყნის ტერიტორია.ისინი გადავიდნენ ავღანეთში მოძრაობა „თალიბანის“კონტროლირებად ტერიტორიაზე,კერძოდ კი ქ.ყანაგარში,სადაც ალ-ქაიდას მიეცა საშუალება დაეარსებინა სამხედრო-საწვრთნელი ბანაკები ავღანეთის

<sup>38</sup>მაისია ვ. “ ახალი გეოპოლიტიკური რეალობა საერთაშორისო ტერორიზმი 21 საუკუნეში“(გლობალური და რეგიონალური ასპექტები.22.34გვ

ტერიტორიაზე ავღანეთის ტერიტორიაზე სულ შეიქმნა 22-მსხვილი საწვრთნელი ბანაკი, სადაც 1996-2000- წლებში მომზადდა 8000-მებრძოლი.

39

ბენ ლადენისა და ალ-ქაიდას პიკად შეიძლება ჩაითვალოს 1998 წლის თებერვალში შექმნილი საერთაშორისო გაერთიანება „ებრაელებისა და ჯვაროსნების წინააღმდეგ ისლამური მსოფლიო ფრონტი, რომელშიც გაერთიანდნენ : „ალ-ქაიდა“, „ალ-გამაა“ „ალ-ისლამი(ეგვიპტე)“ „ალ-ჯიჰადი(ეგვიპტე)“ „ხარაკატ ულ-ანსარი“(კაშმირი)“ „ჯიჰადი“(ბანგლადეში) „რჩევა და რეფორმის“ სამხედრო ფრთა (ავღანეთი) და „ღვთისმსახურთა საზოგადოება“(პაკისტანი).(ვ.მასისაია ბ.ობოლაძე „ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი 21-საუკუნეში“ 43 გვ)

ალ ქაიდა შექმნიდან, მისი დომინაციის ბოლომდე ინარჩუნებდა ფინანსურად მძლავრი

ტერორისტული ორგანიზაციის სახელს. მას ჰქონდა როგორც ლეგალური, ასევე

არალეგალური ფინანსური წყაროები. ლეგალურ წყაროებით მას ბინ ლადენი

აფინანსებდა, ხოლო არალეგალური წყაროებით კი ავღანეთ პაკისტანის ტერიტორიაზე არსებული ტრეფიკინგითა, და ნარკო ვაჭრობით. კერძოდ ჰეროინის გაყიდვიდან შემოსული თანხებით, პაკისტანის სპეც სამსახურების წყაროებით ალ ქაიდა დაფინანსებას საუდის არაბეთის სამეფო ოჯახიდანაც იღებდა, ეს ინფორმაცია შემდგომ აშშ-ს ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომაც დაადასტურა. გარდა საუდის არაბეთის ოჯახისა, ორგანიზაცია დაფინანსებას ქუვეითიდან და ყატარიდანაც იღებდა.

არაოფიციალურად ალ ქაიდას წლიური შემოსავალი 200 მილიონ აშშ

---

<sup>39</sup>Burgess, Mark (2003). A Brief History of Terrorism. Washington, D.C.: Center for Defense Information (CDI); Tuman, Joseph S. (2009). Communicating Terror: The Rhetorical Dimensions of Terrorism (2nd ed.). Thousand Oaks, CA: Sage. გვ 91-98

დოლარს შეადგენდა. დღეს დღეობით ალ ქაიდას ბიუჯეტი ყოველ წლიურად 70 მილიონ დოლარს შეადგენს.<sup>40</sup>

ჯიჰადისტური მოძრაობის საერთო მიზნად კვლავაც რჩება პანისლამური სახალიფოს შექმნა. ჯიჰადისტები მიზნად ისახავენ მთავრობების ჩამოგდებას ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში და ბრძოლას აშშ-ისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ.<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ მოძრაობა არ არის მონოლითური - მათ შორის არსებობს ტაქტიკური, მნიშვნელოვანი განსხვავებები. ამასთან, ისინი ერთმანეთის კონკურენტები არიან და ზოგ შემთხვევაში საქმე შეიარაღებულ დაპირისპირებამდეც მიდის. დღეს ჯიჰადისტური მოძრაობა შეიძლება დაიყოს 4 ძირითად ნაწილად:

- 1) „დაეში“ და მისი ვილაიეთები (პროვინციები) იემენში, ლიბიაში, ეგვიპტეში, საუდის არაბეთში, ალჟირში, კავკასიაში, ნიგერიაში, ავღანეთ-პაკისტანსა და ნიგერიაში;
- 2) „ალ-ქაიდა“ და მასთან აფილირებული ორგანიზაციები („ჰაიათ თაჰრირ ალ-შამი“ – სირიაში, „ალ-შაბაბი“ – სომალიში, ფილიალები – მალრიბში, ინდოეთის სუბკონტინენტზე, არაბეთის ნახევარკუნძულზე და ა.შ.);
- 3) სხვა ჯიჰადისტური ორგანიზაციები („თალიბანი“, „ლაშქარ-ე-ტაიბა“ და სხვა);
- 4) ინდივიდუალური ჯიჰადისტები, რომლებიც შთაგონებული არიან „დაეშისა“ და „ალ-ქაიდას“ იდეოლოგიით, თუმცა მათთან ორგანიზაციული კავშირი არ აქვთ.

ჯიჰადისტი მებრძოლები დღეს ძირითადად თავმოყრილი არიან ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში. ტერიტორიული დანაკარგების მიუხედავად, მათი რაოდენობა არ იკლებს. 2018 წლისთვის ჯიჰადისტთა რიცხვი 100000-230 000 იყო. შედარებისთვის, მათი რაოდენობა 2007 წელს 20 000-60 000-ს არ აღემატებოდა.

<sup>40</sup>მაისია, ვ. „ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი 21-ე საუკუნეში“, თბილისი 2009წ.გვ 62-67



აქტიური ჯიჰადისტი მებრძოლების რაოდენობა 1980-2018 წწ.-ში

ამ ეტაპზე რაოდენობრივად ყველაზე მეტი მებრძოლი იმყოფება შემდეგ ქვეყნებში:

სირიაში – 43 600-70 500 კაცი;

ავღანეთში – 27 000-64 000 კაცი;

პაკისტანში – 18 000-40 000 კაცი;

ერაყში – 10 000-15 000 კაცი;

ლიბიაში – 4 900-10 000 კაცი;

ნიგერიაში – 3 000- 7 000 კაცი;

სომალიში – 3 000- 7 000 კაცი;

იემენში – 2 300-3 500 კაცი;

მალში – 1, 300-3 200 კაცი;

სულ 2018 წელს მთელ მსოფლიოში მოქმედებდა 67 ჯიჰადისტური დაჯგუფება, რაც 2001 წელთან შედარებით 180%-ით მეტია. აქედან 44 ჯგუფი არ არის აფილირებული არც „დაემთან“ და არც „ალ-ქაიდასთან“.

საერთაშორისო ტერორიზმი არის ტერორიზმი რომელშიც გარეულნი არიან ერთზე მეტი ქვეყნის მოქალაქეები ან ძალადობა, რომელიც მოიცავს ერთზე მეტი ქვეყნის ტერიტორიას. ტერმინი ტერორიზმი ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს შიშს, ტერორიზმი არის პოლიტიკური პრობლემების ძალისმიერი მეთოდებით გადაჭრის საშუალება. ძალისმიერი მეთოდების გამოყენება ხორციელდება როგორც სახელმწიფოს მიერ პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ ასევე სხვადასხვა ჯგუფების მხრიდან სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ. ორგანიზებული ხასიაღის ტერორისტული საქმიანობა დაკავშირებულია მუდმივ საშიშროებასთან, ოპერაციის მომზადებას დიდი

დროს და ძალისხმევა სჭირდება. ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობა, იდეოლოგიურად დასაბუთებულია<sup>41</sup>.

იმისათვის, რომ სწორად გავიგოთ თუ რა არის ტერორიზმი საჭიროა განვიხილოთ ის ნიშნები, რომელთა ერთობლიობაც აუცილებელია ტერორისტული აქტის მისაღებად.

ესენია:

- **ტერორისტები** - ჯგუფი, რომლებიც გეგმავს, მონაწილეობს და ახორციელებს

ტერორისტულ აქტს, რომელიმე დაჯგუფების სახელით ან რაიმე მოტივაციის გამო. „ტერორისტად ადამიანები არ იბადებიან, ტერორისტებად შემდეგ ყალიბდებიან რომელსაც აქვს თავისი სტადიები. ეს არის რადიკალიზაციის პროცესი, სამი ძირითადი ფაზისგან შედგება, რომლებიცაა: I მტრის ხატის შექმნა, როდესაც ადამიანი ემხრობა კონკრეტულ იდეოლოგიას. II ფაზაა გაღვივება, ანუ როდესაც ადამიანი იწყებს კავშირს ორგანიზაციასთან, ან თუ მართლაც იწყებს მზადებას. III მესამე ფაზაა შეჯახება- როდესაც ადამიანი გადადის მოქმედებაზე, არ აქვს მნიშვნელობა რა ფორმით იქნება ეს“ (გერმანე გვარამია, ექსპერტი უსაფრთხოების სფეროში);

- **მხარდაჭერები** - ცალკეული პირები, პირთა ჯგუფები, ორგანიზებული დაჯგუფებები, სახელმწიფო ორგანოები და შესაძლოა ქვეყნის მთავრობებიც კი. არსებობენ ტერორისტთა აქტიური და პასიური მხარდაჭერები. პასიური მხარდაჭერაა იდეური სიმპატიის გამოხატვა. აქტიური მხარდაჭერა გულისხმობს, პირის ან პირთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ტერორისტული საქმიანობის დაფინანსებას, იარაღითა და ტექნიკურ ტაქტიკურ საშუალებებით მომარაგებას, წვრთნის უზრუნველყოფას და უსაფრთხო თავშესაფრის მიცემას (დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის

---

<sup>41</sup>Burgess, Mark (2003). A Brief History of Terrorism. Washington, D.C.: Center for Defense Information (CDI); Tuman, Joseph S. (2009). Communicating Terror: The Rhetorical Dimensions of Terrorism (2nd ed.). Thousand Oaks, CA: Sage. გვ. 65-73

ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ.32)

• **ტერორისტთა მსხვერპლი** - ეს შეიძლება იყოს როგორც ცალკეული პირი, პირთა

ჯგუფი, ასევე მთლიანად რასა, ეთნიკური ჯგუფი ან ერი. ადამიანებს, რომლებიც დაზარალდნენ ტერორისტთა მოქმედების შედეგად „ტერორიზმის მსხვერპლი“ ეწოდებათ. მიუხედავად იმისა, რომ ტერორისტული ორგანიზაციის ინტერესები და მიზნები ერთმანეთისგან განსხვავებულია, მათ მაინც გააჩნიათ გარკვეული საერთო ფაქტორები, როგორებიცაა რადიკალიზმი, ექსტრემიზმი, ფანატიზმი და ფუნდამენტალიზმი

**რადიკალიზმი** გულისხმობს გადამჭრელი ზომების მიღებას სხვადასხვა თეორიულითუ პარაქტიკული საკითხების გადასაწყვეტად. ეს შეიძლება გულისხმობდეს ძირეული პოლიტიკური რეფორმების გატარებასაც. ტერმინი „რადიკალიზმით“ ხშირად რეფორმატულ მოქმედებებს აღნიშნავდნენ. რადიკალისტური ჯგუფებისათვის დამახასიათებელია ისეთი ქმედებები, რომლებიც გავლენას მოახდენს ქვეყნის გავლენიან ინსტიტუტებზე, რათა მოახდინონ ისეთი პოლიტიკური ცვლილებები, რომლებიც მათთვის ხელსაყრელი იქნება (Mc Laughlin P. Radicalism: A Philosophical Study. New-York : Palgrave Macmillan. 2012 გვ.6-9)

**ექსტრემიზმი** გულისხმობს უკიდურესი შეხედულებებისა და განსაკუთრებული, მათ შორის პოლიტიკური, ზომების გატარებას. საზოგადოებაში ექსტრემიზმის აღმოცენება და განვითარება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა ფაქტორების ფონზე, როგორებიცაა სოციო-ეკონომიკური კრიზისი, ცხოვრების დაბალი დონე, სახელისუფლებო სტრუქტურების პარალიზება, ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმი, ოპოზიციური აზრის დევნა და ა.შ.

ფანატიზმი მასის ფსიქოლოგიის განსაკუთრებული ფენომენია. ფანატიკოსები ყოველთვის თავიანთი მოსაზრებების, შეხედულებებისა და იდეების ერთგულნი არიან. უფრო მეტიც, მუდამ მზად არიან მათთვის საკუთარი თავი მსხვერპლადაც კი გაიღონ. ფანატიკოსების მიერ ერთმანეთისადმი გამოხატული მხარდაჭერა ხშირად ემოციური ხასიათისაა. მათთვის მიუღებელია კონსტრუქციული კრიტიკაც კი და ყველაფერს საკუთარი შეხედულებებისა და ხედვების ჭრილში აღიქვამენ. ფსიქოლოგიურად ფანატიკოსები უმეტესად რადიკალიზმისა და ექსტრემიზმის იდეებს ეყრდნობიან, ამიტომ ფანატიზმი ხშირად ტერორიზმის საფუძველია. ფანატიკოსები ჩადენილი ძალადობრივ ქმედებების მეშვეობით ცდილობენ თავიანთი იდეების გავრცელებას.<sup>42</sup>

ტერორიზმის ბუნების შესახებ არსებობს 3-შეხედულება:გამომდინარე ტერორიზმის საბრძოლო გამოვლინებებიდან,რომელსაც გააჩნია კრიმინალური და სოციალურ-პოლიტიკური სახეები,პირველი პოზიციიდან ტერორიზმი განიხილება,როგორც შეიარაღებული მოქმედების სპეციფიკური სახე და ის განისაზღვრება,როგორც “დაბალი ინტენსივობის კონფლიქტი“.მეორე შეხედულების თანახმად აქცენტი კეთდება ტერორიზმის კრიმინალური ნიშან თვისებებზე,მესამე შეხედულების მიხედვით ტერორიზმის არის პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი სახე.ფაქტიურად ტერორიზმი იზრდება საზოგადოებრივი

---

<sup>42</sup>Cragin, Kim; Daly, Sara A., (2004), The Dynamic Terrorist Threat: An Assessment of Group გვ 77-80

უთანხმოების საფუძველზე, ტერორისტულ ბრძოლებს იწვევს პოლიტიკური, სოციალური, ეროვნული და მსოფმხედველობის ხასიათის კონფლიქტები.

21 -საუკუნის დასაწყისში მსოფლიო საზოგადოება ახალი გამოწვევების წინასე დადგა, რომელთაგანაც ყველაზე დიდი საშიშროება საერთაშორისო ტერორიზმი გახდა. განსაკუთრებული ყურადღება 2001-წლის 11-სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში მომხდარი თავდასხმის შემდეგ მიაქციეს, ამ პერიოდიდან დაიწყო ტერორიზმის შესაჩერებლას გზების ძიება. 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ, ტერორიზმთან ბრძოლისა და მასთან გამკლავების პოლიტიკამ სხვადასხვა ტრანსფორმაციული ეტაპები გაიარა . 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის დროს , ტერორიზმთან დაპირისპირების უმთავრესი გზა ძალოვანი გამკლავება იყო. რადიკალიზაციის შემსწავლელი საერთაშორისო ცენტრის (ICSR) დირექტორის, პიტერ ნოიმანის თანახმად, 2001-2005 წლების განმავლობაში, ტერორიზმის საფუძველმდებარე მიზეზებზე საუბარიც კი გართულდა, ვინაიდან ამ პერიოდში ამგვარ მიზეზთა ძიებას მრავალი ექსპერტი და კომენტატორი უდანაშაულო მოქალაქეთა მკვლელობის გამართლების მცდელობად აფასებდა. თუმცა, გამოცხადებულ „ომს ტერორის წინააღმდეგ“, სამხედრო ინტერვენციებს ავღანეთსა და ერაყში, არამხოლოდ თავად ამ ქვეყნებში მოჰყვა სავალალო შედეგები, არამედ მანვე გამოიწვია „დასავლეთის“ სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები მილიონობით მუსლიმის ყოველდღიური ცხოვრების კონტროლი და სახელმწიფო სტრუქტურების მიერ მათი ექვიტანილთა რიცხვში შეყვანაც. 2004-2005 წლებში, სამხედრო ინტერვენციების მზარდ საერთაშორისო კრიტიკას შედეგად მოჰყვა ტერორიზმთან ბრძოლის ახალი სტრატეგიების ძიება და თავად ტერორიზმის საფუძველმდებარე მიზეზების ანალიზის დაწყება.<sup>43</sup>

<sup>43</sup>მაისია, ვ. „ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი 21-ესაუკუნეში“, თბილისი 2009წ. გვ. 74

ტერორიზმის მრავალი სახეობა და მოძრაობა არსებობს, ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან მიზნებით, წევრებით, რელიგიური რწმენებით და სხვა ასპექტებით. ტერორიზმის წარმოშობის საფრთხე მეტად არის ისეთ ქვეყნებში სადაც, მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობაა, სადაც ირღვევა ადამიანთა ფუნდამენტური უფლებები.

ევროკავშირი ტერორიზმის ესე განმარტავს: ტერორიზმი არის ქმედება, რომლის მიზანსაც წარმოადგენს საზოგადოების დაშინება მთავრობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებზე არაკანონიერი გზით ზეგავლენის მოხდენა, ქვეყნებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების განადგურება.

ტერორიზმის განსაკუთრებული სირთულე მის ფორმათა მრავალფეროვნებაშია. ცნობილი უცხოელი და ქართველი ისტორიკოსები, სამართალმცოდნეები და ფილოსოფოსები ტერორიზმის სისტემატიზაციასა და კლასიფიკაციას სხვადასხვანაირად ახორციელებენ. მათ მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციის სპეციფიკური კრიტერიუმები საშუალებას იძლევა უფრო მარტივად გავიაზროთ ტერორიზმის საფრთხე და გამოვავლინოთ ის ნიშნები, რომლებიც მნიშვნელოვანია სისხლისსამართლებრივად, რათა სწორად განვსაზღვროთ ტერორისტული დანაშაულის შემადგენლობა.<sup>44</sup>

აუცილებელია, რომ გამოვყოთ ტერორიზმის ფორმები და სახეები. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ტერორიზმთან ბრძოლის ბევრი წარუმატებელი შემთხვევა გამოიწვია ყველა ტერორისტული აქტის მიმართ ერთნაირმა მიდგომამ.

ტერორისტული ორგანიზაციების მიზნების მრავალფეროვნანია, მათგან უმთავრესია გადარჩენა, შემდგომში მოდის ფინანსური სარგებელი, გავლენების გავრცელება, ტერიტორიული პრეტენზიები, მომხრეთა ციხიდან გათავისუფლების მოთხოვნა, კონკრეტული ტერიტორიებიდან

---

<sup>44</sup>Stern, Jessica. The Ultimate Terrorists. Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1999 გვ 49-53

უცხო ქვეყნის სამხედრო ნაწილების გაყვანა და ა.შ ამ ყოველივეს მიღწევას ტერორისტული ორგანიზაციები ცდილობენ შიშის დათესვით, ხოლო შიშის დასათესად არსებობს მრავალი ფორმა, რომელთა უმეტესობასაც ყველა ტერორისტული ორგანიზაცია იყენებს. არსებობს მრავალი დამახასიათებელი ნიშანი რომელიც უნივერსალურია თანამედროვე ტერორისტული ორგანიზაციებისა თუ ჯგუფებისათვის, ესენია: • ძალადობა, როგორც სამიზნე ობიექტზე ზემოქმედების ინსტრუმენტი (აფეთქებების მოწყობა, შეიარაღებული თავდასხმები, გატაცებები და მკვლელობები)

- მნიშვნელოვანია, რომ სამიზნე და დრო ისე შეირჩეს, რომ მას მოყვეს დიდი გამოხმაურება, ეს უნდა იყოს მაქსიმალურად რეზონანსული ამბავი, რომელსაც მთელი მსოფლიოს მოსახლეობა გაიგებს. უმეტესწილათ ტერორისტული აქტები

ხორციელდება საჯარო სივრცეებში, საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობ ტურისტულ ობიექტებზე ან საელჩოებზე. ტერორისტების სამიზნე სიმბოლური ხასიათისაა მათთვის მთავარია არა კონკრეტული პირის ლიკვიდაცია არამედ ტერორისტული აქტის შემდგომი რეზონანსი.

- თანამედროვე ტექნოლოგიების მაღალი განვითარება ტერორისტებს საშუალებას აძლევს, რომ მოახდინონ ტერორისტული აქტი ისე, რომ მათი იდენტიფიცირება ვერ მოხდეს ან ძალიან გართულდეს. მაგალითისთვის შეგვიძლია ვთქვათ დისტანციური ან სინქრონული ასაფეთქებელი მოწყობილობები, რომელიც შესაძლებელია შემთხვევის ადგილას შემთხვევამდე (ტერორისტული აქტამდე) დიდი ხნით ადრე იქნეს დატოვებული, რაც აღნიშნული იარაღის აღმოჩენას ართულებს.

- ტერორისტული აქტების ჩამონათვალში გვხვდება მოქალაქეთა საჯარო მკვლელობები ან გატაცებები, რაც თავისთავად დიდი რეზონანსის გამომწვევია საზოგადოებაში.

- ტერორისტები აქტიურად იყენებენ“ მოულოდნელობის ეფექტ“-ს, რაც კარგად დაცული ობიექტებისთვისაც წარმოადგენს ასიმეტრიულ საფრთხეს და ზრდის მათი წარმატების შანსებს.

- მუქარა-ტერორისტებიმათ მიერ განხორციელებულ თუნდაც მცირე თავდასხმას ან აფეთქებას იყენებენ მუქარად, რაც საზოგადოებაში თესავს შიშს და მოლოდინს, რომ მსგავსი ფაქტი ან გაცილებით უფრო დიდი მასშტაბის ტერორისტული აქტი განმეორდება .

- შეტევის ადგილის შერჩევა ხდება ,ისე რომ გარდაცვლილთა და დაშავებულთა შორის იყვნენ დიდი რაოდენობით ქალები და ბავშვები. მედიის საშუალებებით ხდება გარდაცვლილ და დაშავებულ ბავშვების და ქალების კადრების ჩვენება,ასეთი ინფორმაციებს გავრცელებას ხშირ შემთხვევაში მოყვება ხოლმე მოსახლეობის შიში და აღშფოთება.

- პროპაგანდის გამოყენება- ტერორისტულ ორგანიზაციებს სურთ რომ თავიანთი თავი წარმოაჩინონ,როგორც ანგარიშგასაწევი ძალა, სწორედ ამიტომ ტერორისტული ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ ტერორისტულ აქტს ეკარგება მნიშვნელობა თუ ამ ყველაფერს არ მოჰყვა მასობრივი გამოხმაურება.

- ეკონომიკური თვალსაზრისით დაჯგუფებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს , იმისათვის რომ ტერორიზმის მხარდამჭერ ქვეყნებს და ინდივიდუალურ პირებს შემდგომი დაფინანსების სურვილი გაუჩინონ.

ტერორიზმს და ტერორისტულ საქმიანობას, მოქმედებათა იმდენად ფართო სპექტრი გააჩნია რომ ძნელია მისი ერთ ჩარჩოში მოქცევა, სწორედ ამ მიზეზის გამო თანამედროვე მსოფლიოში ტერორიზმის ერთ საერთო დეფინიციასაც კი ვერ

შევხვდებით.მაგრამ არსებობს კრიტერიუმები რომლის მიხედვითაც შეიძლება

ტერორისტული ორგანიზაციების ანდა ტერორისტული აქტების კლასიფიცირება,თანამედროვე ტერორიზმი შეიძლება ორ კატეგორიად დავეყოთ: ლოკალური ტერორიზმი მოიცავს ტერორისტულ საქმიანობას



ლოკალური მასშტაბით , სეპატარისტული მოძრაობების მხრიდან ლეგიტიმური ხელუსუფლების წინააღმდეგ ტერორიზმის გამოყენება.

საერთაშორისო ტერორიზმი-ტერორიზმის სახეობა რომელიც საფრთხეს უქმნის მთელს მსოფლიოს. ლოკალური ტერორიზმი სხვადასხვა სახით გვხვდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.ძირითადად ლოკალური ტერორი ხორციელდება ეთნიკური ნიშნით.ნაციონალურ უმცირესობათა ჯგუფები, რომლებიც ცდილობენ თავიანთ ისტორიულ ტერიტორიაზე მოიპოვონ ან გააფართოვონ ავტონომია.ასეთი სახის ტერორიზმი ორიენტირებულია მემარჯვენე ან მემარცხენე იდეოლოგიაზე, იმის მიხედვით თუ რა პოლიტიკურ-სოციალური მდგომარეობაა არსებულ მომენტში. მემარცხენე იდეოლოგიის მქონე ტერორისტული ორგანიზაციები ძირითადად სამიზნედ ირჩევენ მაღალ თანამდებობის მქონე პირებს, რასაც ამართლებენ რევოლუციური იდეით.ხოლო მემარჯვენე იდეოლოგიის ტერორისტებისთვის მსგავსი ორგანიზაციები შედარებით დიდხანს <sup>45</sup>

ტერორიზმის საფუძველი სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წინააღმდეგობრივ და განსხვავებულ ხასიათში მდგომარეობს, სწორედ ამიტომ ხდება ტერორიზმის განხორციელება სხვადასხვა ფორმით და მას მრავალი სახე აქვს. ტერორიზმის სახეებს შორის კავშირი მიზნის მისაღწევად განხორციელებულ მოქმედებებში გამოიხატება.სხვადასხვა სამეცნიერო ჯგუფები თუ კონკრეტული მეცნიერები ტერორისტულ ჯგუფებს ყოფენ განსხვავებული კლასიფიკაციის მიხედვით.მეცნიერები გვთავაზობენ ტერორისტული ორგანიზაციების რამოდენიმე იდეურ სახეს როგორებიცაა: • იდეოლოგიური ტერორიზმი - შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა

პოლიტიკური იდეოლოგიით. თავდაპირველად რადიკალური იდეოლოგია

გროვდება, ხოლო შემდგომ, როდესაც მისი რეალიზების სხვა გზა არ რჩება ხდება მისი

<sup>45</sup>სუჟაშვილი დ. „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“თბილისი 2018წ. გვ 23-24.)

ტერორისტული სახის გამოვლინება.

- ეთნიკური ტერორიზმი - ხშირ შემთხვევაში გადაიზრდება ხოლმე რასობრივ

ტერორიზმში, მას ძირითადად მიმართავენ დაჩაგრული ერები, ეთნიკური ჯგუფები და ის გაერთიანებები რომელიც არ აღიარებენ სახელმწიფოს სამართალს და მიისწრაფვიან თვითგამორკვევისაკენ.

- რელიგიური ტერორიზმი - სხვადასხვა რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელთა მხრიდან შესაძლოა ადგილი ჰქოდეს ტერორისტული აქტის

მწყობას, რომელიც განპირობებულია რელიგიური მოტივებით. სინამდვილეში მას

რელიგიის სწავლებასთანა რანაირი კავშირი არ აქვს და აღნიშნული ტერორისტული აქტები გამოწვეულია კონკრეტული ინდივიდების მხრიდან რელიგიური სწავლების სუბიექტურ გაგებასთან. ასეთ შემთხვევებში ტერორისტები თავიანთ ქმედებებს ამართლებენ იმ მოტივით რომ ისინი არიან არა ტერორისტები არამედ „განმათავისუფლებლები“ რომლებიც ასრულებენ ღვთის ნებას. რელიგიური ტერორიზმის მიმდევრები ხშირად იყენებენ ძალისმიერ მეთოდებს მოსახლეობის წინააღმდეგ.

- კრიმინალური ტერორიზმი - ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფებების მიერ ჩადენილი დანაშაულები (გატაცებებს გამოსასყიდის მოთხოვნით, შეკვეთილ მკვლევლობებს და ა.შ

- ინდივიდუალური ტერორიზმი - როდესაც ცალკეული ინდივიდი აწყობს

ტერორისტულ აქტებს, შესაძლოა მას კავშირი ჰქონდეს ან იდეურად ეთანხმებოდეს საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებს, მაგრამ მოქმედებს

ინდივიდუალურად.

- პოლიტიკური ტერორი - სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად

გამოყენებული ტერორისტული საქმიანობა.

- პარტიზანული ტერორიზმი - რომლის საფუძველიც საომარი ტერორიზმია, მხოლოდ ეს მეთოდი გამოიყენება საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ , ხშირად პარტიზანული შენაერთების მოქმედებას ტერორისტული სახე აქვს.

- საჰაერო და საზღვაო ტერორიზმი - ახასიათებს განსაკუთრებული სისასტიკე და

გამოირჩევიან სპეციფიკურობით. „ასეთი ტერორისტული აქტები შეიძლება განხორციელდეს როგორც ჰაერში და ზღვაზე, ასევე ნავსადგურსა და აეროდრომზე“ (დ.სუჯაშვილი „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ.27-28).

## 2.2 საერთაშორისო ტერორიზმის გავლენა კავკასიის რეგიონულ უსაფრთხოების პროცესებზე

საქართველოს სახელის საერთაშორისო ტერორიზმთან დაკავშირება, დაკავშირებულია პანკისის ხეობაში განვითარებულ მოვლენებთან, რაც სსრკ-ს დაშლის შემდეგ იღებს სათავეს. თუმცა მიზეზები ბევრად უფრო რთული და მრავლისმომცველია, ვიდრე ეს ყველაფერი ერთი შეხედვით ჩანს. პანკისში ტერორისტული საქმიანობის გააქტიურების მიზეზი არ არის ეთნოკულტურული და რელიგიური მახასიათებლები. ის მჭიდროდაა დაკავშირებული პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებთან. აღსანიშნავია, გარე ფაქტორთა უშუალო ზეგავლენა ქისტი ახალგაზრდების რადიკალიზაციის პროცესში, მათ შორის არატრადიციული ისლამის ვაჰაბიზმის გავრცელება, ჩეჩნეთის ომის შედეგად ლტოლვილთა ჩამოსახლება და მათი საქმიანობა და არაბული ტერორისტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა სხვადასხვა რადიკალური ისლამის იდეების პროექტების განხორციელებისთვის.<sup>46</sup>

სერიოზული როლი უნდა მივანიჭოთ ასევე იდენტობის კრიზისს პანკისში, რაც ახალგაზრდათა სოციალური როლის განუსაზღვრელობაში გამოიხატება. ამ ფაქტორთა ერთობლიობა ხელს უწყობს პანკისის ხეობაში რადიკალური იდეების გავრცელებას. აუცილებელია მნიშვნელოვანი როლი უნდა მივანიჭოთ ასევე იდენტობის კრიზისს პანკისში, რაც ახალგაზრდათა სოციალური როლის განუსაზღვრელობაში გამოიხატება. ამ ფაქტორთა ერთობლიობა ხელს უწყობს პანკისის ხეობაში რადიკალური იდეების გავრცელებას.<sup>47</sup>

<sup>46</sup>. მაისაია ვ. “ახალი გეოპოლიტიკური რეალობა საერთაშორისო ტერორიზმი 21 საუკუნეში”(გლობალური და რეგიონალური ასპექტები.70-73

<sup>47</sup>მაისაია ვ- გუჩუა ა:ნატო და არასახელმწიფოებრივი აგრესიული რელიგიური აქტორები)129-135

ტერორიზმი პანკისის ხეობაში მნიშვნელოვანი გამოწვევაა საქართველოს უსაფრთხოებისათვის და ამ პრობლემის პრევენცია ხელისუფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრეროგატივად უნდა იქცეს.

პანკისის ხეობის საერთაშორისო ტერორისტულ ქსელში გნსაკუთრებული ადგილის დამკვიდრებას მეტ-ნაკლებად ხელი შეუწყო ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და სოციალურმა პირობებმა, რაც ჩვენს კვლევაში შიდა ფაქტორების როლით არის განსაზღვრული. პირველ რიგში, აღსანიშნავია პანკისის რეგიონის იზოლაცია. ეს ერთი მხრივ გეოგრაფიული დეტერმინიზმით არის განპირობებული და მეორე მხრივ, ქვეყნის არათანამაბრი განვითარების შედეგია. სსრკს პერიოდში არ არსებობდა ერთიანი ქმედითუნარიანი ეკონომიკური სისტემა. პანკისის ხეობის ეკონომიკა ჩრდილოელ კავკასიელი მეზობლების მსგავსად სახელმწიფოს დოტაციაზე ფუნქციონირებდა. სამწუხაროდ, დღემდე არ არის განსაზღვრული ამ ხეობის ადგილი ქართულ ეკონომიკურ სისტემაში, რადგან ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. სწორედ ამ მიზეზით აიხსნება პანკისის ხეობაში დაფიქსირებული უმუშევრობის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საქართველოს მასშტაბით. ამ რეგიონის მაცხოვრებლები პირად საუბრებში ხშირად უსვამენ ხაზს ეკონომიკური სიდუხჭირის გავლენას ისლამისტური რადიკალური იდეების გავრცელებაში. მაგალითისთვის საკმარისია თარხან ბათირაშვილის (ომარ ალ-შიშანი) მამის ინტერვიუ, რომელიც აცხადებს, რომ საკუთარ შვილს სირიაში საბრძოლველად წასასვლელად სწორედ ეკონომიკურმა პრობლემებმა და უმუშევრობამ უბიძგა. მარტივ ჭეშმარიტებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ეკონომიკური განუვითარებლობა, განსაკუთრებით კი რეგიონის განვითარების ჩამორჩენილობა და ამ ფაქტის გაცნობიერება მოსახლეობის მხრიდან მრავალი სოციალური პრობლემის მიზეზად შეიძლება იქცეს. სოციალური და ეკონომიკური უსამართლობა ტერორიზმის ხელშემწყობი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. ამ შემთხვევაში პანკისის რეგიონში ტერორისტული

საქმიანობის განვითარებაში უსამართლობის შეგრძნება დიდ როლს არ თამაშობს, თუმცა ეკონომიკური პრობლემები იწვევს ეთნიკური, კულტურული და რელიგიური ნიშნით განსხვავებული მოსახეობის ინტეგრაციის შეფერხებას ქართულ სახელმწიფოში. შეიძლება ითქვას, რომ ქისტები მარგინალიზირებულ ჯგუფს წარმოადგენენ საზოგადოებაში, რომლებიც დანარჩენი მოსახლეობისაგან მნიშვნელოვნად გამოირჩევიან. ამ ფაქტზე კარგად მეტყველებს სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემი, რომელიც სოციალური პრობლემების არსებობას უსვამს ხაზს. პანკისში ფიქსირდება კრიმინალის მაღალი დონე და საზოგადოებრივ და პოლიტიკურ აქტივობებში ჩართულობის ძალიან დაბალი მაჩვენებელი.

ასევე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანი პრობლემა ქართული განათლების სისტემის წარუმატებლობაა პანკისის ხეობაში. რაც წლები გადის ეს ყველაფერი უფრო და უფრო თვალში საცემიხდება. ახალგაზრდები პანკისის ხეობიდან იშვიათად აგრძელებენ სწავლას სკოლის უმაღლეს სასწავლებლებში და ხშირად უარს ამბობენ სკოლაში სიარულზეც კი. საქართველოს განათლების სისტემის ხარვეზები მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს რადიკალური იდეების გავრცელებას და ნოყიერ ნიადაგს ამზადებს არაბული ქვეყნების მიერ დაფინანსებული ყურანის სწავლებისა და ვაჰაბიზმის გავრცელებისათვის.

ტერორისტული ორგანიზაცია “ისლამური სახელმწიფო” ახლო აღმოსავლეთში ტერიტორიას კარგავს. სირიაში დაჯგუფების პოზიციები სუსტია, ხოლო ერაყიდან ისინი თითქმის ბოლომდე განდევნეს. შედეგად ტერორისტული ორგანიზაციის ბევრი წევრი, რომელიც ე.წ. "ისლამური სახელმწიფოს" რიგებში იბრძოდა, სამშობლოში ბრუნდება. ტერორისტულ ორგანიზაციას საქართველოდან, ოფიციალური ინფორმაციით, 50 მებრძოლი შეუერთდა. მიმომხილველები ამბობენ, რომ დაბრუნების შემდეგ ეს მებრძოლები შესაძლოა ადგილობრივი მოსახლეობის

რადიკალიზებას და გადაბირებას შეეცადონ. ტერორისტების დაბრუნება საქართველოსა და ჩრდილო კავკასიაში უსაფრთხოების კუთხით მნიშვნელოვან გამოწვევას შექმნის. თუ ის მეზობლები დაბრუნდებიან, რომლებიც სირიაში იბრძვიან, ამას რეგიონზე უდიდესი გავლენა ექნება. ამან შესაძლოა დესტაბილიზაცია გამოიწვიოს... ეს ხალხი კარგად გაწვთნილი და იდეოლოგიზირებულია. მათ შეუძლიათ თავი რელიგიურ ავტორიტეტად გამოაცხადონ და ჩრდილო-კავკასიაში ახალ იდეოლოგიურ მიმართულებას ჩაუყარონ საფუძველი", ამბობს სუფიან ჟემუხოვი ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. ჯიჰადისტების შესაძლო დაბრუნება საქართველოს ხელისუფლებისთვის დიდი გამოწვევაა, არა მხოლოდ საშინაო არამედ საგარეო კუთხით და შესაძლოა მოსკოვის მიერ კიდევ ერთხელ გახდეს, თბილისის მანიპულირების იარაღი.

ისლამური ფუნდამენტალიზმი კავკასიაში 80 იანი წლები მეორე ნახევრიდან იკვეთება. როცა მეტი უფლებები მიეცათ მოქალაქეებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ყოფილი სსრკ-ს ტრადიციულ ისლამურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ერთეულებში ძველი მეჩეთების და მედრესეების აღდგენა, ახლების აგება და საქადაგებლად იმ სწავლულების მოწვევა, რომლებმაც ძირითადად ეგვიპტეში და საუდის არაბეთში მიიღეს თეოლოგიური განათლება. სწორედ საუდის არაბეთის ფაქტორმა განაპირობა ისიც, რომ სულ მალე განმახლებული და აღორძინებული ორთოდოქსალური ისლამის მომხრეებს ცენტრალურ აზიაში და კავკასიაში ვაჰაბისტები უწოდეს, ვინაიდან საუდის არაბეთში გაბატონებული ისლამი მე 18 საუკუნის მე 2 ნახევარში მცხოვრებ მუჰამედ იბნ აბდ-ალ-ვაჰაბის სწავლებას ეფუძნება. ვაჰაბიტური იდეოლოგიის ძირითად მცნებას წარმოადგენს პრინციპი ერთმორწმუნეობის შესახებ. მხოლოდ ალაჰია ღირსი თაყვანისცემის და აქედან გამომდინარე არ არსებობენ წმინდა ადგილები და წმინდანები ამტკიცებენ ვაჰაბიტები. მათი აზრით ყურანი უნდა იყოს ყველა მუსლიმანისთვის ამოსავალი წერტილი. ასევე

უარყოფილია მუჰამედის კულტი, რადგან ხალხსა და ალაჰს შორის არავითარი შუამავალი არ უნდა არსებობდეს.

ცენტრალურ აზიაში რადიკალურ ისლამს არ მიეცა ფართო გასაქანი, უზუბეკეთის პრეზიდენტის ისლამ კარიმოვის მთავრობამ უმკლაცრესი რეპრესიული მეთოდები გამოიყენა უზუბეკი ვაჰაბისტების წინააღმდეგ, დახურა ყველაზე მნიშვნელოვანი არაოფიციალური მუსულმანური ცენტრები. 1998 წელს ასლან კარიმოვმა მორიგი ნაბიჯი გადადგა ვაჰაბისტებთან ბრძოლაში, ის ვიზიტით ეწვია რუსეთს და ერთგვარი თავდაცვითი ალიანსი შექმნა მუნდამენტალიზმის გავრცელების საფრთხესთან საბრძოლველად.

რაც შეეხება ტაჯიკეთს საერთოდ გაურკვეველი ვითარება შეიქმნა ფუნდამენტალისტებთან დაკავშირებით, რადგან ისლამური ოპოზიციის სახით რახმონოვის ხელისუფლებას წარჩინებულთა ფენის „იმანებ“-ის - სუფიური ურდენების და სამშობის წარმომადგენლები დაუპირისპირდნენ. ეს კი საერთოდ გამორიცხავს ტაჯიკი ისლამისტების ვაჰაბისტობას რადგან ვაჰაბისტები სასტიკად ებრძვიან ყოველგვარ სხვა მიმდინარეობას.

სულ სხვაგვარად წარიმართა ისლამიზაციის პროცესი ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში სადაც ისლამის მთავარ ცენტრად დაღესტანი და ჩეჩნეთი ითვლებოდა. 1990-წლიდან დუდაევის ხელისუფლების დამყარებამდე სოფელ ავტურიში ვინმე ადამ დანიევის მიერ ჩამოყალიბდა პირველი ე.წ. ვაჰაბისტური თემი, რომლის საფუძველზეც იგივე დანიევის ხელმძღვანელობით აღორძინების ისლამური პარტია შეიქმნა. იგივე წელს ასტრახანში, დაღესტანში და ყიზილიურტში ჩამოყალიბდა მსგავსი იდეოლოგიური ბაზის მქონე ისლამური ცენტრი. სწორედ ამ პერიოდში იწყება ვაჰაბისტების და ვაჰაბიზმის ფიგურირება კავკასიის, განსაკუთრებით კი ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილთან მიმართებაში. შუა აზიაში უზუბეკეთის მთავრობის რეპრესიული ღონისწილებების შედეგად რადიკალური



ისლამის საფრთხემ დროები\ტ დაკარგა თავისი სიმწვავე. მაგრამ დაღესტანში და განსაკუთრებით \ჩე\ცნეთში დაწყებული ეროვნული მოძრაობის და სამხედრო პოლიტიკური კატაკლიზმების შედეგად ისლამური ფუნდამენტალიზმის როლი და მნიშვნელობა კავკასიის რეგიონში მეტად გაიზარდა.<sup>48</sup>

საერთაშორისო ძალისხმევის მიუხედავად, „ისლამური სახელმწიფო“ გლობალური ტერორიზმის ყველაზე მკაფიო გამოვლინებად რჩება. სხვადასხვა დროს „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში საქართველოს მოქალაქეებიც იბრძოდნენ. ზოგიერთმა ტერორისტული ორგანიზაციის რიგებში მნიშვნელოვანი გავლენაც მოიპოვა და ტერორისტული ორგანიზაციის იერარქიის სათავეშიც მოექცა. ISIS-მა მხარდამჭერების გარკვეული რაოდენობის მოპოვება საქართველოშიც შეძლო, თუმცა სამართალდამცავი უწყებების მიერ განხორციელებული სპეცოპერაციებისა და სახელმწიფოს მიერ წარმოებული მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად, საქართველოში „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდამჭერთა რიცხვი მკვეთრად შემცირდა, თუმცა საქართველოში შესაძლოა კვლავ არსებობდნენ „ისლამური დაემის“ მომხრეები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ორგანიზაციის მხრიდან მიღებული დავალებების შესაბამისად იმოქმედებენ საქართველოსთვის კვლავ გამოწვევად რჩება სირიასა და ერაყში მყოფი „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში მებრძოლი საქართველოს მოქალაქეები, რომლებმაც შესაძლოა საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტონ. ასევე საყურადღებოა ISIS-ის უცხოელი ტერორისტები, რომლებიც შესაძლოა საქართველოს გავლით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში .

„ალ-ქაიდასთვის“ საქართველო პირველადი ინტერესის ობიექტს არ წარმოადგენს. სირიასა და ერაყში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებისას

<sup>48</sup>. მასია ვ. „ახალი გეოპოლიტიკური რეალობა საერთაშორისო ტერორიზმი 21 საუკუნეში“ (გლობალური და რეგიონალური ასპექტები. გვ. 65-72

„ალ-ქაიდას“ მხარდამჭერ შეიარაღებულ ჯგუფებში საქართველოს მოქალაქეებიც იბრძოდნენ. ზოგიერთი მათგანი „ალ-ქაიდას“ შეიარაღებული ჯგუფების ლიდერიც კი გახდა. „ალ-ქაიდასგან“ მომდინარე სავარაუდო საფრთხეებს წარმოადგენს ტერორისტული ორგანიზაციის ან მისი ინდივიდუალური მხარდამჭერის მიერ ტერორისტული თავდასხმის განხორციელება; ორგანიზაციაში მებრძოლი საქართველოს მოქალაქეების ქვეყანაში დაბრუნების მცდელობა და საქართველოს ტრანზნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ასევე ტერორისტული ორგანიზაცია „თალიბანი“. ეს ორგანიზაცია ძირითადად ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში მოქმედებს და ქვეყანაში ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს აკონტროლებს. ორგანიზაციას შესწევს უნარი აწარმოოს სამხედრო ოპერაციები და განახორციელოს ტერორისტული აქტები. ტრანზიტულ ქვეყნად გამოყენების მცდელობა.<sup>49</sup>

„თალიბანი“ მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს საქართველოსათვის, უფრო ზუსტად, საქართველოს თავდაცვის ძალებისთვის, რომელიც ავღანეთის კონფლიქტში მონაწილეობს. ბოლო წლების განმავლობაში აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაციის მიერ განხორციელდა არაერთი თავდასხმა ქართულ სამხედროებზე. ათეულობით ქართველი დაიღუპა, ხოლო ასეულობით დაშავდა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. დღეისათვის ნატოს „მტკიცე მხარაჭერის მისიის“ ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის ძალების დანაყოფები განთავსებული არის ქალაქ ქაბულში, ბალხისა და ფარვანის პროვინციებში, რომლებიც „თალიბანის“ აქტიური მოქმედების არეალს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ განეკუთვნება ტერორისტული თავდასხმების მაღალი რისკის სახელმწიფოთა რიცხვს, რეგიონში მიმდინარე პროცესები ქვეყანაზე დიდ გავლენას ახდენს.

<sup>49</sup>მაისაია ვ- გუჩუა ა:ნატო და არასახელმწიფოებრივი აგრესიული რელიგიური აქტორები)გვ106-108

საქართველო ევროპული უსაფრთხოების ნაწილია, შესაბამისად ბოლო წლებში, ტერორიზმის თვალსაზრისით, საქართველო და ევროპის ქვეყნების დიდი ნაწილი აღმოჩნდა მსგავსი საფრთხეების წინაშე, თუმცა ევროპის მრავალი ქვეყნისგან განსხვავებით, საბედნიეროდ საქართველოში ტერორისტული ორგანიზაციის მიერ ტერორისტული თავდასხმა არ განხორციელებულა. თუმცა, რომ არა 2017 წლის 22 დეკემბერს თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაცია, ალბათ საქართველოც საერთაშორისო ტერორისტული აქტის მსხვერპლი გახდებოდა. აღნიშნული სპეცოპერაციის დროს ლიკვიდაცია მოხდა შეიარაღებული ჯგუფის ლიდერის, „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი საველე მეთაურის აჰმედ ჩატაევისა და მისი ორი თანამზრახველის იბრაჰიმ ადაშევისა და ასლანბეგ სოლტაჰმადოვის, რომლებიც საცხოვრებელი კორპუსის ბინაში იყვნენ შეიარაღებულები.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა არ განეკუთვნება ტერორისტული თავდასხმის მაღალი რისკის ქვეყანათა ჯგუფს, მაინც არსებობს გარკვეული გამოწვევები აღნიშნული კუთხით. მოგეხსენებათ ტერორისტული ორგანიზაციები აქტიურად იყენებენ იდეოლოგიის გავრცელების მიზნით ინტერნეტ სივრცეს. ამიტომ საჭიროა მათ მიერ შექმნილ ვებ-გვერდებზე დაწესდეს მკაცრი შეზღუდვები წვდომაზე

### **2.3 კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების განვითარების ტენდეციების მოდელირება**

კავკასიის რეგიონს ყოველთვის გააჩნდა უდიდესი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა გამომდინარე იქედან, რომ რეგიონი მდებარეობდა და მდებარეობს ევროპისა და აზიის ქრისტიანული და ისლამური სამყაროების გზაჯვარედინზე. კავკასიის რეგიონი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი

ისტორიის და პოლიტიკის მრავალფეროვნებით. რეგიონი ასევე გამორჩეული იყო კავკასიით დაინტერესებულ დიდ სახელმწიფოთა რაოდენობით. კავკასიელ ხალხს ყოველთვის გააჩნდათ საკუთარი ეროვნული ინტერესები.

კავკასიის რეგიონში საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს განსხვავებული გამოწვევები აქვთ, ასევე განსხვავებულია ქვეყნების პოლიტიკური ორიენტაცია აქვთ, ეს კი რაღათქმაუნდა ძალიან უშლის ხელს რეგიონული უსაფრხოების ერთიანი და მყარი სისტემის ჩამოყალიბებას.

სამხრეთ კავკასიაზე საუბრისას აუცილებლად უნდა გამოვყოთ ორი ძირითადი და მთავარი ამ რეგიონით დაინტერესებული გეოპოლიტიკური მოთამაშე, რუსეთი და ამერიკის შეერთებული შეტატები, რომლებიც არ იშურებენ

პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სამხედრო მეთოდებს სამხრეთ კავკასიაში გავლენის გასაძლიერებლად. ეს რეგიონი კი თავისი სტრატეგიული მდებარეობით

სავსებით ხელსაყრელ პირობებს უქმნის იმ ქვეყნებს, რომლებსაც მსოფლიო ასპარეზზე პირველობა სურს. „ცივი ომის“ დასრულების პირველ ეტაპზე, რუსეთსა და აშშ-ის შორის შედარებით თბილი ურთიერთობები ჩამოყალიბდა. ამ

ორმა ქვეყანამ სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო უსაფრთხოების,

თუ სხვა სფეროებში შეთანხმებებს მოაწერეს ხელი, რომლებმაც ორმხრივი ურთიერთობების განვითარებისათვის შესაბამისი სამართლებრივი ბაზა ჩამოაყალიბა. მაგრამ 21-ე საუკუნის დასაწყისში, განსაკუთრებით იმ ფონზე როცა

ამერიკა ავღანეთსა და ერაყში საომარ მოქმედებებში იყო ჩართული, რუსეთმა კი

ნავთობიდან მიღებული შემოსავლების ზრდის შედეგად საერთაშორისო

ასპარეზზე პოზიციების გამყარება დაიწყო, ამ ორ ქვეყანას შორის წინააღმდეგობები უფრო გაიზარდა ვიდრე ინტერესების თანხვედრა.

მსოფლიო რეალობას თუ გადავხედავთ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს საკუთარი უსაფრთხოების პოლიტიკა აქვთ შემუშავებული, რაც შეეხება რეგიონისთვის შემუშავებულ უსაფრთხოების მოდელებს, სამხრეთ კავკასიისათვის უსაფრთხოების მოდელის შექმნა არაა პირველი პრეცედენტი, როცა გარკვეული ფორმატის ფარგლებში სურთ რეგიონული პრობლემების დარეგულირება. ბოლო მსგავს პრეცედენტს ადგილი ჰქონდა ბალკანეთის ქვეყნებისთვის, მაშინ როცა სპეციალური ფორმატი იქნა შემუშავებული.

ცივი ომის შემდგომ მსოფლიოში შექმნილმა ახალმა პოლიტიკურმა რეალობამ უბიძგა სახელმწიფოებსა და კონკრეტულ პოლიტიკოსებს, შექმნილი მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობიდან გასამოსავლის ძიების პროცესში შეემუშავებინათ და შემოეთავაზებინათ კონკრეტული თანამშრომლობის მოდელი სამხრეთ კავკასიაში შექმნილი მდგომარეობის დასარეგულირებლად. სამხრეთ კავკასიის ირგვლივ მიმდინარე დიალოგის პროცესში სხვადასხვა დროს თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატები იქმნებოდა: საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ერთ-ერთი პირველი იყო ე.წ. „გამსახურდიას იდეა“, რომელიც ჩეჩნეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან თანამშრომლობით საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული პრობლემების მოგვარებას ისახავდა მიზნად. თუმცა ეს იდეა იდეათვე დარჩა და მისი საზოგადოებამდე მიწოდება არანაირი სახით არ მომხდარა.

1990-წლებში სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ქართული მოდელი იქნა შემუშავებული, საქართველოს რესპუბლიკის მეორე პრეზიდენტის - ედუარდ შევარდნაძის მიერ: „მშვიდობიანი

კავკასიის“მოდელი პოლიტიკური ხასიათის იდეა იყო და სამხრეთ კავკასიის სამივე კონფლიქტის ირგვლივ დიალოგს გულისხმობდა.

მორიგი უსაფრთხოების მოდელი ,რომელიც სამხრეთ კავკასიისთვის შემუშავდა,იყო „კავკასიის სტაბილურობის პაქტი“,რომელიც მკვლევართა ჯგუფის მიერ შემუშავდა /SERGIU CELAC,MICHAEL EMERSON,NARHALIE TOCCI\ და გაჟღერდა ბრიუსელში „2000“წელს.ეს უკანასკნელი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მრავალმხრივი მოდელია,რომელიც შექმნილა სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის.ასევე ,ერთ-ერთი მოდელი,რომელიც კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების საკითხებს ეხება გახლავთ თურქეთის პრეზიდენტის რეჟეფ ტაიფ ერდოღანის იდეა“კავკასიის სტაბილურობის პლატფორმის“შესახებ,რომელიც მან 2008 წლის აგვისტოში გააჟღერა მოსკოვში რუსეთის პრეზიდენტთან გამართულ შეხვედრაზე.

2013-წლიდან საქართველოს,აზერბაიჯანისა და სომხეთის მონაწილეობით საფუძველი ჩაეყარა ე,წ „თეკალანის პროცესს“-ეს არის ე.წ „შეხვედრები მშვიდობისთვის“,რომელიც ყოველი წლის გაზაფხულზე იმართება საქართველოში მარნეულის რაიონში სოფელ თეკალანში სადაც არასამთავრობო უწყების წარმომადგენლები ერთიანი სამხრეთ კავკასიური კავშირის ფარგლებში მშვიდობიანი თანაცხოვრების შანსებს განიხილავენ.

კავკასიასა და მისს გეოპოლიტიკურ ნიუანსებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის ფედერაციისთვის,რუსულმა სამხედრო ელიტამ მზადება დაიწყო უკვე სამხედრო ინტერვენციისთვის,ამ ნაბიჯით რუსეთს არა მხოლოდ რეგიონზე კონტროლის გაძლიერება სურდა,არამედ მასს სურდა ეპასუხა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს გაფართოების პოლიტიკისთვის,რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდა რუსეთის საზღვრებს.

2008-წლის აგვისტოს ომმა გავლენა იქონია არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებზე არამედ მისმა შედეგებმა გავლენა იქონია მსოფლიო მასშტაბებზე.ეს ომი ღრმად შეეხო გლობალურ პრობლემებს,მან გავლენა იქონია თურქეთზე,რომ გაეტარებინა აქტიური

საგარეო პოლიტიკური კურსი, ხელი შეუშალა ახალი პერსპექტივებისა და სტაბილური გარემოს ჩამოყალიბებას სამხრეთ კავკასიაში. (რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების თურქი მკვლევარი მითათ ჩელიკპალა 2010წელი). 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ მივიღეთ რეალობა, რამაც ცვლილებების აუცილებლობა დააყენა დღის წესრიგში. ეს ეხებოდა არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობას და მათ საგარეო პოლიტიკას. ომის შემდეგ კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით, რეგიონის უსაფრთხოების ერთიანი სისტემის შექმნა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა შეუძლებელი იქნება თუ არ გაჩნდება კონფლიქტების მოგვარების ახალი გზები. ასეთი გზების პოვნა კი მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის პოლიტიკის ფუნდამენტალური ცვლილებების გარეშე ვერ მოხდება.

2008-წლის აგვისტოს ომს წინ უძღოდა ნატოს ბუქარესტის სამიტი აპრილის თვეში სადაც გამოითქვა დაპირება, რომ საქართველო მიიღებდა ნატოში გაწევრიანების სამოქმედო გეგმას (MAP). ომის შედეგები მძიმე პოლიტიკური რეალობის მომტანი აღმოჩნდა მთლიანად კავკასიის რეგიონისთვის. აზერბაიჯანისა და სომხეთისთვის ეს იყო მუქარის შემცველი სიგნალი; ევროპისა და ამერიკისთვის კი მინიშნება, რომ უფრო დამთმობი და კონსტრუქციულები ყოფილიყვნენ, როდესაც საქმე რუსეთის ინტერესების არეალს ეხებოდა; სამხრეთ კავკასიაში კი სხვა რეგიონური აქტორებისთვის, როგორცაა ტურქეთი და ირანი, ჩვენება, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის მიუხედავად ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები რუსეთის კონტროლიდან ვერ გავა. ძალაუფლების გადანაწილებისთვის ბრძოლა ახალ ეტაპზე გადავიდა და სამხრეთ კავკასიისათვის იგი მეტი გამოწვევების მომტანი აღმოჩნდა.

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, მსოფლიოში დაიწყო გავლენის სფეროების გადანაწილება. ასევე აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ საუკუნის მიწურულს მსოფლიო დაუბრუნდა ორპოლუსიან მდგომარეობას

და მიმდინარეობდა „ბრძოლა“ როგორც ევროპული ქვეყნების ასევე აღმოსავლეთის ქვეყნების მთავრობებთან კავშირების ჩამოსაყალიბებლად, ამ პერიოდში ფართო მასშტაბის სრულიად მოულოდნელად მსოფლიო აღმოჩნდა სრულიად ახალი სახის ასიმეტრიული გამოწვევის წინაშე, ასიმეტრიული გამოწვევის რომელსაც სახელად ქვია „ახალი ტერორიზმი“. რათქმუნდა ტერორისტული ორგანიზაციები XXI-ე საუკუნემდეც არსებობდა და შეგვიძლია მრავალი მაგალითი მოვიყვანოთ, მაგრამ „ახალი ტერორიზმი“ სრულიად განსხვავებული საფრთხე აღმოჩნდა, რომლის გასამკლავებლადაც მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფო ამერიკის შეერთებული შტატებიც კი არ აღმოჩნდა მზად.

გასული საუკუნის 90-იანი წლების პოსტ-საბჭოთა სივრცე კერძოთ კი სამხრეთ კავკასია მსოფლიოს თვალში აღიქმებოდა, როგორც კონფლიქტური რეგიონი, სადაც ადგილი არ ჰქონდა სახელმწიფოთა შორის თანასწორუფლებიან პარტნიორულ ურთიერთობებს და არც რეგიონული უსაფრთხოების ელემენტარული გარანტიები არ არსებობდა. თუმცა მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე მომხდარმა ცვლილებებმა სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო მნიშვნელობა კარგად გამოკვეთა, რასაც გავლენიანი პოლიტიკური მოთამაშეების გააქტიურება მოყვა ამ რეგიონში.

რეგიონული უსაფრთხოების საკითხის გადაწყვეტას, არსებული რეალობისა და მისი სირთულის გათვალისწინებით, ან დიდი პოლიტიკური ნება, ან დიდი გეოპოლიტიკური ძვრები სჭირდება, მაგრამ შესაბამისი ეტაპის დადგომამდე, რეგიონში მშვიდობითა და სტაბილურობით დაინტერესებულმა პოლიტიკურმა აქტორებმა არ უნდა მოადუნონ ყურადღება და არ უნდა შეწყვიტონ მცდელობები, რეგიონში სტაბილური გარემოს შექმნისთვის.

პანკისის ხეობა პოტენციურ ტერორისტთა რეკურტირების არეალს წარმოადგენს, ამის მიზეზადაც უმეტესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური



გარემო და სამუშაო ადგილების ნაკლებობა სახელდება. მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ დაისახოს კონკრეტული სტრატეგია პანკისის ხეობაში არსებული პრობლემების მოგვარებისთვის, რაც შესაძლოა გამოიხატოს საგანმანათლებლო დაწესებულებების, ზრდასრულთა განათლების და ახალგაზრდული ცენტრების მშენებლობაში, ასევე ხეობაში დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნაში. საგანმანათლებლო აქტივობების კუთხით აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდების იდეოლოგიზირებას ხელს უწყობს ტერორისტული ორგანიზაციების ინტერნეტ – პროპაგანდა, რაც ორმაგად სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს იმის გამო, რომ სოციალური მედიის კონტროლი დიდ ტექნიკურ სირთულეებთან არის დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ ტერორისტული პროპაგანდის აღკვეთა სახელმწიფოს მხრიდან დიდ ძალისხმევას საჭიროებს, მასთან ბრძოლის მექანიზმები არსებობს და მათი ამოქმედება უნდა დაჩქარდეს. ისლამური სახელმწიფოს და ზოგადად ტერორისტული საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლება ხელს შეუშლის ახალგაზრდების რადიკალიზაციას და უბიძგებს მათ რელიგიური დოგმების მცდარი ინტერპრეტაციებისკენ. ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შემთხვევაში კი ისინი შეწყვეტენ მძიმე სოციალური პირობებიდან თავის დაღწევის მიზნით დაემის მებრძოლთა რიგებში გაერთიანებას. სახელმწიფოს მართებს კომპლექსური მიდგომა არსებული პრობლემის მიმართ, ვინაიდან საქართველოს ეთნიკური თუ გეოგრაფიული სპეციფიკა დაემის გააქტიურების სავსებით გამართლებულ მოლოდინს აღძრავს. საქართველო კავკასიის რეგიონის ნაწილია, რომელიც თანდათან სულ უფრო აღრმავებს თანამშრომლობას ისლამურ სახელმწიფოსთან, ამ პირობებში კი შეუძლებელია არ განვკვირტოთ საფრთხეები, რომელიც საქართველოს დაემიუქრება უშუალოდ ტერორისტული სახელმწიფოს მხრიდან.

## დასკვნა

წარმოდგენილ ნაშრომზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საერთაშორისო ტერორიზმი ერთ-ერთი ურთულესი გამოწვევა კაცობრიობისთვის, საკითხი იმდენად არაპროგნოზირებადი და მრავალწახნაგოვანია, რომ თითქმის შეუძლებელია რისკების განსაზღვრა და პრევენცია. მიუხედავად უზარმაზარი, რესურსებისა, რომელიც იხარჯება იქნება ეს ფინანსური თუ ტექნიკური ამერიკის შეერთებული შტატები, ნატო და ევროკავშირი, ამავე დროს პატარა მშვიდობაზე და ეკონომიკურ სტაბილურობაზე ორიენტირებული ქვეყნებიერთიანი ძალისხმევით ცდილობენ ტერორისტული აქტების აღკვეთას თუ მისგან გამოწვეულ შედეგებთან ბრძოლას, თუმცა პოზიტიური დღის წესრიგის შექმნა ამ საკითხზე ისევ გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს ძირითად შემთხვევაში.

ზემოთხსენებული არაბული გაზაფხულის მთავარი და არა ერთ-ერთი ხომ სწორედ გაუსაძლისი სოციალური ფონი და ცხოვრების უფლების არათანაბარი პირობები იყო. მუსლიმანური სახელმწიფოების ძირითადი ნაწილი მზაფრი რელიგიური რწმენითა და ტრადიციებით გამოირკვევიან, ეს კი უკუფრო რთულს ხდის მათ ინტეგრაციას გლობალურ თანამედროვეობასთან, სადაც ადამიანების უდიდესი ნაწილი თანაბარი უფლებებით სარგებლობს. ამ ყველაფერს ლმობიერი და ადამიანების უფლებების დაცვაზე ორიენტირებული მთავრობები თუ სხვადასხვა სახის ორგანიზაციები უზრუნველყოფენ. ნაკლებად განვითარებულ ისლამურ ქვეყნებში მსგავსი ლმობიერი მმართველობა თითქმის

წარმოუდგენელია, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ემორჩილება ქვეყანაში დამკვიდრებულ მკაცრ დიქტატურას. შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე ვითარების კიდევ უფრო გაუარესების და უკეთეს შემთხვევაში „გაყინვის“ მიზეზი შეიძლება ვეძებოთ განათლების დაბალ დონეში, რაც მწვავეთ დგას ისლამურ ქვეყნებში და ძირითადად გარკვეულ დოგმებსა და ნორმებს ექვემდებარება.

სოციალური ტრანსფორმაციის ერთ ერთი კომპონენტი დემოკრატიზაციაა, დემოკრატიულ სახელმწიფოში უზენაესი სახელმძღვანელო კონსტიტუციაა, ისლამურ სახელმწიფოებში კი უმეტეს შემთხვევებში კონსტიტუციას ყურანი ან შარიათის კანონები ანაცვლებს. ამ შემთხვევაში მოქალაქეების უფლებები ძალიან შეზღუდულია. შესაბამისად საზოგადოებაში არსებობს იერარქიული სისტემა, რომელიც ადამიანთა ემანსიპაციას მნიშვნელოვნად აფერხებს.

ცალკე საკითხია რამდენად რეალურად იხარჯება ამერიკის შეერთებული შტატების, ნატოსი, ევროკავშირის და ყველა იმ ქვეყნის მიერ გამოყოფილი რესურსები საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში. რეგიონის სპეციფიკურობა არ უნდა ხდებოდეს მიზეზი იმისა, რომ 21 საუკუნის ცივილიზებულ სამყაროში თითქოს არ რჩება ადგილი, იმ უამრავი ახალგაზრდისთვის ვისაც სურვილი აქვს თავი დაახწიოს თავის ქვეყანაში გაბატონებულ რეჟიმებს, ისარგებლოს განათლების და განვითარების ნორმალური პირობებით.

საერთაშორისო ტერორიზმი რათქმაუნდა უარყოფით გავლენას ახდენს როგორც მსოფლიოს უდიდეს ქვეყნებსა და რეგიონებზე ასევე კავკასიის რეგიონზეც. ტერორიზმს როგორც ასიმეტრიულ საფრთხეს არ გააჩნია საზღვრები ის ვრცელდება ყველგან, ყველაზე და ყველაფერზე. ტერორისტული ორგანიზაციების რადიკალი ლიდერები ცდილობენ მეტი რეგიონი მოაქციონ მათი გავლენის ქვეშ რასაც ძირითადად ძალისმიერი მეთოდებით ცდილობენ და აღწევენ

კიდევაც.ახდენენ ძალის დემოსტრირებას,რითაც ცდილობენ ხალხში დათესონ შიში და პანიკა.

საერთაშორისო ტერორიზმის განვითარების საფრთხის წინაშე პატარა განვითარებადი ქვეყნებიც დგას,მათ შორის საქართველოც. საქართველო ჩართულია ტერორიზმთან ბრძოლის არაერთ საერთაშორისო პროგრამაში,მაგრამ როდესაც ქვეყანაში გაქვს ტერორიზმის კუთხით ისეთი სენსიტიური კუთხე როგორცაა პანკისი,მთავრობას მართებს მეტი ძალისხმევა და სრული ჩართულობა რეგიონში განათლების სოციალური აქტივობების მიმართულებით.

„არაბულ გაზაფხულს“ აქვს დიდი გავლენა კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების სისტემაზე, განსაკუთრებით საერთაშორისო ტერორიზმისა და ასევე ახალი გეოპოლიტიკური რეალიების განვითარების კუთხით.

საქართველოს არასათანადო მზადყოფნა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით და ქვეყნის საზღვრების არასაიმედო დაცვა თვალსაჩინო გახდა მაშინ ,როდესაც გაირკვა,რომ თვეების განმავლობაში თბილისის ერთ-ერთ უბანში საცხოვრებელ კორპუსსი თავს აფარებდა მსოფლიოს ტერორისტების ათეულში შემავალი ახმედ ჩატაევი.ამ მეტად არასასიამოვნო ფაქტით კიდევ ერთხელ მოვექცით მსოფლიოს ყურადგების ცენტრში."არაბული გაზაფხულის"შემდეგ არასასურველი გარემო შეიქმნა ახლო-აღმოსავლეთში ტერორისტებისთვის და მათი დაჯგუფებებისთვის.ბევრმა მათგანი გადავიდა სხვა ქვეუნებში რასაც გლობალიზაციის პროცესი კიდევ მეტად უწყობს ხელს.კავკასიის რეგიონი კი ყოველთვის ითვლებოდა ტერორისტებისთვის კარგ "ნავსაყუდელად".მხოლოდ ახმედ ჩატაევთან დაკავშირებული რად ღირს,როდესაც მსოფლიო ტერორისტების ათეულში შემავალი და არაერთი ქვეყნის მიერ წითელი ცირკულარით ძებნილი ტერორისტი თავს რამდენიმე თვის განმავლობაში აფარებდა თბილისის ერთ-ერთ გარეუბანს.ეს ფაქტი იყო კარგი მაგალითი იმისა ,რომ ის პროცესები რაც

მიმდინარეობს სახელმწიფოს მიერ ტერორიზმთან ბრძოლისათვის აშკარად უკეთესის სურვილს ტოვებს.

კავკასიის რეგიონის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე ყველა შემადგენელი ქვეყნის მთავარი მიზანი უნდა იყოს ძლიერი თავდაცვისუნარიანობა და გაძლიერებული სასაზღვრო კონტროლი, იქნება ეს სახმელეთო, საჰაერო თუ საზღვაო.

### **ბიბლიოგრაფია**

მაისაია ვ. ,გუჩუა ა. „ნატო და არასახელმწიფოებრივი აგრესიული რელიგიური აქტორები („ისლამური სახალიფო“, „ალ-კაიდა“ და „თალიბანი“) - მეოთხე თაობის ომის სტრატეგია და მისი რეგიონული და ეროვნული უსაფრთხოების გეოპოლიტიკური ასპექტები (2010-2019 წლები)“, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2020 წელი;

მასია ვ. , ობოლაძე ბ. “ ახალი გეოპოლიტიკური რეალობა საერთაშორისო ტერორიზმი 21 საუკუნეში“(გლობალური და რეგიონალური ასპექტები. 2016

გაჩეჩილაძე რ. „ახლო-აღმოსავლეთი“გეოპოლიტიკა

გაჩეჩილაძე რ. „ახლო-აღმოსავლეთი“გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები.

სუჯაშვილი დ. „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“თბილისი 2018წ.

**Brigitte L. Nacos** “Terrorism and Counterterrorism”, second edition, Penguin

Cragin, Kim; Daly, Sara A., (2004), The Dynamic Terrorist Threat: An Assessment of Group

**Cragin, Kim; Daly, Sara A.**, (2004), The Dynamic Terrorist Threat: An Assessment of Group

**Dabashi, H.** (2012). The Arab Spring: the End of Postcolonialism. London, New York: Zed Books.

**Della Porta, D.** (2010). The Protest on Unemployment: Forms and Opportunities. In M. Giugni (Ed.), The Contentious Politics of Unemployment in Europe: Welfare States and Political Opportunities (pp. 43–69). New York: Palgrave Macmillan.

**Dhillon, N., & Yousef, T. (Eds.)**. (2009). Generation in Waiting: The Unfulfilled Promise of Young People in the Middle East. Washington, DC: The Brookings Institution.

**Diamond, L. (2008)**. The Spirit of Democracy: The Struggle to Build Free Societies Throughout the World. New York: NY Times Books.

edition, Pearson Education Limited, 2013;

**Hoffman, Bruce**, (2006), Inside Terrorism, p. 199, 206-207, 222,

[http://www.rand.org/pubs/monograph\\_reports/2005/MR1782.pdf](http://www.rand.org/pubs/monograph_reports/2005/MR1782.pdf), p. 28,

<https://studinfo.ge/2015/03/11/terorizmi-pankisis-xeobashi-gamomwvevi-mizezebi-studenturi-konferencia/>ბოლოს დამოწმებულია 21.06.20021

<https://www.rferl.org/a/georgia-isis-islamic-state-pankisi-gorge-russia/26637101.html> ( საიტი ბოლოს დამოწმებულია 23.06.2021 )

**Jeffrey Haynes** “An Introduction to International Relations and Religion”, second London, 2015;

Motivations and Capabilities in a Changing World,

**Peter Hough, Shahin Malik, Andrew Morana and Bruce Pilbeam** “International Pillar, Paul R. Terrorism and U.S. Foreign Policy. Washington, D.C: Brookings Institution Press, 2001

**Plakoudas, S. 2017** “ Causes of the Arab Spring: A Critical Analysis”, Center for International Strategic Analyses (KEDISA).

Security Studies: Theory and Practice”, Routledge Taylor and Francis Group,

**Smith, James M., and William C. Smitt**, eds., The Terrorism Threat and U.S. Government Responses: Operational and Organizational Factors. Colorado: U.S. Air Force Academy Institute for National Security Studies, 2001.

**Smith, James M., and William C. Smitt**, eds., The Terrorism Threat and U.S. Government Responses: Operational and Organizational Factors. Colorado: U.S. Air Force Academy Institute for National Security Studies, 2001.

**Stern, Jessica.** The Ultimate Terrorists. Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1999.

**Ufuophu-Biri, E. & Ojoboh,L.** 2017. “Social Media as a Tool for Political Resistance: Lessons from the Arab Spring and the Nigerian Protests” Academic Journal of Interdisciplinary Studies, Vol 6. No 1, 61-63.

**Werrel,C.** 2013. “The Arab Spring and Climate Change”. Center for American Progress